საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.



ხუთშაბათი, 17 ივლისი, 2014 წელი.

№139 (7520)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

აფხაზეთის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა პუტინის შემდგომ რუსეთთან მოლაპარაკების საგანი იქნება

4

აფხაზეთის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა საკმაოდ რთული პროცესი იქნება. იგი კიდეც რომ აღდგეს, აფხაზეთში, ისევე როგორც რუსეთში, ისეთი კორუფცია და აღვირახსნილობაა, დარწმუნებული ვარ, მატარებლების ამ შემადგენლობებსა და სომხურ ტვირთებს გაძარცვავენ.

ვინ აკეთებს ეკონომიას მომხმარებლის ჯანმრთელობის ხარჯზე

7

კაცი რუსთავიდან

5

რიტორიკული შეკითხვა

სად იყავით მაშინ?!..

ვინ დგას აქციათა უკან, თქვენი აზრით, მკითხველებო?

მთავრობის ადმინისტრაციასთან მორიგი აქცია გაიმართა მამხილებელი სახელწოდებით და პათოსით – „მატყუარა ხელისუფლება“. მაინც ვინ ამხელს და რაში ამხელს ხელისუფლებას?

ოფიციალურად აქციის ორგანიზატორები „ახალგაზრდა რეფორმატორები“ იყვნენ, რომლებმაც ხელისუფლება იმაში დაადანაშაულეს, რომ, თუმცა ამ უკანასკნელმა რვა თვის წინათ განაცხადა, წიწამურში ილიას ძეგლს გავარემონტებო, დღემდე არაფერი არ გაკეთებულაო.



ოფიციალურად-მეთქი, იმად ვამბობ, რომ, ნუ მიწყენენ „ახალგაზრდა რეფორმატორები“, მაგრამ ვეჭვობ, ამ აქციის უკან სინამდვილეში „ძველგაზრდა რეფორმატორები“ დგანან, რომელთაც, ღმერთმა დაგვიფარა და, ბოლომდე არ დასცალდათ თავიანთი „გარდამქმნელი“ რეფორმების გატარება, თორემ!..

სინამდვილეში რა ხდება?

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში განაცხადეს, საპროექტო კომპანია, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით, მუშაობს ილია ჭავჭავაძის ძეგლის რეაბილიტაციისთვის საჭირო პროექტზე, რომელიც 27 ივლისისთვის დასრულდება, და, სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ, აგვისტოს პირველი ნახევრიდან უკვე სამშენებლო სამუშაოებიც დაიწყება.

გამოდის, რომ არ ყოფილა ხელისუფლება „მატყუარა“ და „ბერბიჭაშვილი“!

თქვენ კი მას ეს იარლიყი თურმე იმადღა მიაკერეთ, რომ მან, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომლის წარმომადგენლებზეც ეჭვობენ ბევრნი, სწორედ ისინი დგანან ამ და სხვა მსგავსი აქციამიტინგების უკანო, მშენებლობის დაწყებამდე ჯერ პროექტი შეუკვეთა, როგორც წესი და რიგია, და მის მიხედვით აპირებს მუშაობის დაწყებას.

თქვენ კიდევ...

თუმცა მარტო თქვენ კი არა, ნაცმოძრაობის წარმომადგენელნი, რომლებზეც, ნაცების საყვარელი ტერმინით თუ ვიტყვით, „გონივრული ეჭვი“ აქვთ, რომ ისინი დგანან თქვენ უკან, რათა ვითარება დაძაბონ, რას არ აბრალებთ ხელისუფლებას.

თუ იქნებ ის გაიგეთ, რომ მალე დაიწყება ძეგლის სარესტავრაციო სამუშაოები და იჩქარეთ, – არიქა, აქცია გავმართოთ და მერე დავიბრალოთ, ჩვენმა გააქტიურებამ გამოაფხიზლა ხელისუფლებაო?

თუ ასე არ არის, რატომ არ იღებდით ხმას მაშინ, ნაცთა მმართველობისას, რომელ ნაციონალებსაც, თქვენივ სიტყვებით თუ ვიტყვით, 9 წლის განმავლობაში არაფერი გაუკეთებიათ ძეგლების მოვლა-პატრონობისთვის, დანგრევით კი უამრავი დაუნგრევიათ, ანუ როცა ამ მხრივ შეუდარებლად ცუდი მდგომარეობა იყო?

სად იყავით მაშინ „ახალგაზრდა რეფორმატორები“?

ნინველები იყავით?

თუ მაშინ „ძველგაზრდა რეფორმატორები“ არ გაძლევდნენ კრინტის დაძვრის უფლებას?

თქვენ რას იტყვით, მკითხველებო, ვინ „უმაგრებს ზურგს“ აქციის ორგანიზატორებს?

აქცია მიტინგაძე

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პრეზიდენტის განცხადებით უკმაყოფილო ვიცე-პრემიერი

ენერგეტიკის მინისტრის, ვიცე-პრემიერის კახა კალაძის განცხადებით, ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადება გაუგებარია. ამის შესახებ კახა კალაძემ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ეროსი კიწმარიშვილის ოჯახს და მის ახლობლებს უსამძიმრებს. როგორც გიორგი მარგველაშვილმა ბათუმში, ჟურნალისტებს განუცხადა, აუცილებლად, უსწრაფესად უნდა მოხდეს ტრაგიკული ფაქტის გამოძიება. მისივე თქმით, „ბუნებრივია, ამ საზარელ მკვლელობას პასუხი უნდა გაეცეს“.

მისივე თქმით, დამატებით ინფორმაციას მომხდართან დაკავშირებით ის არ ფლობს.

ვინ დაესწრება ასოციირების ხელშეკრულების რატიფიცირებას?

18 ივლისს, საქართველოს პარლამენტი რიგგარეშე სესიაზე ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმების რატიფიცირების საკითხს განიხილავს. პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, სხდომას მაღალი რანგის სტუმრებიც დაესწრებიან.

— სხდომას ევროკომისარი შტეფან ფულე დაესწრება, რომელიც ამ მოვლენასთან ყველაზე ახლოს იყო და მისი დახმარებით მიმდინარეობდა მოლაპარაკებების პროცესი. ველოდებით სტუმრებს ლატვიიდან და ბულგარეთიდანაც. როგორც ცნობილია, დაესწრებიან ამ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები. პარასკევს სხდომას ასევე დაესწრება საქართველოს პრემიერ-მინისტრიც, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

◎ ალიანჩალიანი

ელექტროენერგიის ტარიფი არ შეიცვლება

მინდა მივმართო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, არ დაუჯეროს „რუსთავი-2“-ის ცრუ განცხადებებს, ტარიფი არ შეიცვლება, — ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ენერგეტიკის მინისტრმა იმ ინფორმაციის კომენტირებისას განუცხადა, რომლის თანახმადაც შესაძლოა ელექტროენერგიის ტარიფის მცირეოდენი ზრდა მოხდეს.

— გვქონდა საუბარი სემეკი-ის ხელმძღვანელთან. მიმდინარეობს ტარიფის გადათვლა. ჩვენ გუშინ, განსაკუთრებით „რუსთავი-2“-ის ეთერში ვნახეთ მიზანმიმართული კამპანია, იმასთან დაკავშირებით რომ ტარიფი იზრდებოდა. ეს არის სიცრუე. მე ვფიქრობ, რომ ეს სიახლე არ არის, რომ „რუსთავი-2“ მიზანმიმართულად ახორციელებს სიცრუის პროპაგანდას. ეს არის სიცრუეზე დაფუძნებული მანქანა, რომელიც წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა და რომელსაც წინა ხელისუფლება ძალიან კარგად იყენებდა სათავისოდ. მინდა, მივმართო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, არ დაუჯეროს იმ ცრუ განცხადებებს, რომელსაც „რუსთავი-2“ აკეთებდა გუშინ, ტარიფი არ შეიცვლება, დარჩება ის შემცირებული ტარიფი, რომელიც ჩვენი ხელისუფლების მოსვლის დროს განხორციელდა, — განაცხადა კახა კალაძემ.

სასწრაფო დახმარების ავტოპარკი განახლდება

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, სასწრაფო დახმარების სამსახურის ეფექტურ მუშაობას ხელს ორი ტიპის მიზეზი უშლიდა. დავით სერგეენკოს თქმით, ახლა დაწესდება ახალი რეგულაციები და ეს მიზეზები აღმოიფხვრება.

— სასწრაფო დახმარების სამსახურის ეფექტურ მუშაობას ხელს უშლიდა ორი ტიპის მიზეზები, პრობლემები, ეს იყო ტექნიკური და საავტომობილო პარკის. ეს პრობლემა გვარდება, კონტრაქტი გაფორმებულია და წლის ბოლომდე მთელი საქართველოს მასშტაბით განახლდება ავტოპარკი. ხოლო მეორე პრობლემა იყო რეგულაცია, პრეჰოსპიტალურ ეტაპზე გადაწყვეტილების მიღების პრინციპები და მეთოდები. ეს მოთოდოლოგიაც დავამუშავეთ და ვფიქრობთ, რომ მალე შემოვიტანთ. ეს გამოიხატება იმაში, რომ იქნება გეოგრაფიულ მისაწვდომობაზე გათვლილი და არა ადმინისტრაციულ მისაწვდომობაზე. ასევე ყურადღება გამახვილდება პაციენტის რეალურ მდგომარეობაზე, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

ერგნეთის ბაზრობის გახსნა ასოციირების ხელშეკრულებასთან წინააღმდეგობაში არ იქნება

ამის შესახებ პაატა ზაქარეიშვილმა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

სახელმწიფო მინისტრის განმარტებით, ასოცირების ხელშეკრულება ითხოვს მეტ კონტაქტებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობასთან და აქედან გამომდინარე, წინააღმდეგობაში არ იქნება. რაც შეეხება უშუალოდ ბაზრობის გახსნის საკითხს, ზაქარეიშვილი ამბობს, რომ ეს განხილვის პერიოდში იმყოფება.

მისივე თქმით, პოლიტიკური ნება არსებობს რომ ეს საკითხი იყოს განხილული, თუმცა, ამაზე საბოლოო სიტყვა ექსპერტებმა უნდა თქვან.

◎ ინფორმაცია

ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობა ზაფხულში დასრულდება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით შავლიაშვილმა, მოადგილეებმა ვაჟა ფანჩულიძემ და გივი ჩიჩუამ ქუთაისის შემოვლითი სამტრედიის გზაზე მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს.

ქუთაისის შემოვლითი სამტრედიის გზა E60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან — ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი-სამტრედიის 56-კილომეტრიანი გზის ნაწილს წარმოადგენს. მშენებლობა 31-კილომეტრიან მონაკვეთზე აქტიურად მიმდინარეობს. ქუთაისის შემოვლითი გზის 17-კილომეტრიანი და ქუთაისი სამტრედიის 14-კილომეტრიანი მონაკვეთების მშენებლობა მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება. ავტობანის ახალი მონაკვეთი სოფელი ნახშირღელედან დაიწყება, შემოუვლის ქალაქ ქუთაისს და კოპიტნარის აეროპორტთან შეუერთდება არსებულ ავტომაგისტრალს.

ამ დროისათვის, სამუშაოების 80% შესრულებულია, იგება ბეტონის საფარი, მიმდინარეობს ხიდებისა და გზაგამტარების მშენებლობა. ორივე მონაკვეთზე რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელების მშენებლობა დასრულებულია.

◎ ტურიზმი

ხელისუფლება რელიგიური ტურიზმის განვითარებას გეგმავს. საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაცია ამჟამად მუშაობს პილიგრიმული კატალოგის გაკეთებაზე, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებულ კულტურულ მემკვიდრეობას მოიცავს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ტურიზმის ცენტრის მთავარი სპეციალისტი **გიორგი ქემერტელიძე** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ საქართველოში 12 ათასზე მეტი ტაძარია და ჩვენი ქვეყნის რესურსები ამ მხრივ ძალზე დიდია. ამდენად, კარგია, რომ სახელმწიფომ ეს მიმართულება პრიორიტეტად მიიჩნია. მით უფრო, რომ ჩვენი ქვეყნის რელიგიური ტურისტული რესურსით ბევრი უცხოელია დაინტერესებული.

გიორგი ქემერტელიძის აზრით, მართლია, ისრაელს, საბერძნეთს, იტალიასა და თურქეთს რელიგიური ტურიზმით კონკურენციას ვერ გავუწევთ, მაგრამ ამ ქვეყნებისგან მაინც განვსხვავდებით. კერძოდ, უცხოელებს ჩვენ ვთავაზობთ მართლმადიდებლური რელიგიური ტურიზმის მიმართულებას. ამ მხრივ შეიძლება, საბერძნეთთანაც გვქონდეს ანალოგია, მაგამ იქ უფრო ანტიკური მითოლოგიური ტურიზმია განვითარებული.

„რელიგიური ტურიზმი რელიგიათა პატივისცემას შეუწყობს ხელს. ტურისტები აღარ შევლენ ეკლესიაში შორტებით, ჩვენი ტრადიციები უფრო მეტად რელიგიაზეა დამყარებული. მაგალითად, მთის ტრადიციები იმდენად შესისხლხორცებული აქვთ მთაში მცხოვრებ ადამიანებს, რომ ტურისტის არასწორად ჩარევა ამ პროცესში გაუცხოებას იწვევს მათ მიმართ. პირადად გამომიცდია, მაგალითად, პირიქითა ხევსურეთში, რომელიც ეკლესიათა სიმრავლით არ გამოირჩევა და უფრო სალოცავი ნიშებით არის ცნობილი, არის ადგილები, სადაც არ შეიძლება ქალბატონი მივიდეს ან საერთოდ, ხევისბერის გარდა, ნებისმიერ ადამიანს ეკრძალება ცალკეულ ადგილებში შესვლა. უცხოელი ტურისტები კი მისულან ამ წმინდა ადგილებში და ქვებზე ჩამომსხდარან, რადგან არ იცოდნენ ხევსურების ტრადიციები. ამას მოჰყვა უთანხმოება ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელთაც კოპალას ხატის ნიშის შეურაცხყოფად მიიჩნიეს მათი საქციელი. ამიტომ აუცილებელია, უცხოელები გარკვეულ რეკომენდაციებს გაეცნონ “, — აცხადებს გიორგი ქემერტელიძე.

მისი აზრით, რელიგიური ტურისტული მარშრუტი შეიძლება მოეწყოს ისტორიული თანმიმდევრობით - წარმართული რელიგიური კუთხეები, შემდეგ წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის მარშრუტი, ყველაფერი კი შეიძლება დასრულდეს უზარმაზარი სამების ტაძრის დათვალიერებით. ამ ყველაფერს დასჭირდება ე.წ. ტურისტულ პროდუქტად შეფუთვა. ცხადია, ეს მარშრუტი სასულიერო პირებისიქნება, თუმცა, ასევე, ჩამოვლენ სხვადასხვა კონფესიის ან არარელიგიური ადამიანებიც.

თეოლოგის აზრით, ქართულ ეკლესია-მონასტრებში ტურისტების შესვლის წესი თავად ეკლესიის შიდა განაწესით უნდა დარეგულირდეს, რადგან წირვა-ლოცვის დროს არც ცალკეულ ქვეყნებში არ არის დაშვებული ტურისტების შეშვება. ასე ხდება ინგლისში, საბერძნეთში და სხვა.

რაც შეეხება საქართველოს, ლევან აბაშიძე უმთავრეს სიწმინდედ ქალაქ მცხეთას და მცხეთის ჯვარს, ასევე, სვეტიცხოველს, წმიდა ნინოს საფლავს მიიჩნევს.

ისევ ჩვენი ეკლესია-მონასტრები თუ დაგვეხმარება

„მაგალითად, ისრაელში ტურიზმის ერთ-ერთი დიდი სეგმენტი მომლოცველობაა. აქ ჩადიან არა მარტო სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ებრაელები, არამედ ქრისტიანები, მუსლიმანები. შესაძლოა, უსაფრთხოების თვალსაზრისით, იქ გარკვეული პრობლემები იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ გოლგოთაზე, ქრისტეს თვისაც საინტერესო იქნება, რადგან ეკლესია-მონასტრებს თავიანთი შემოსავლის წყარო ექნებათ. ამის დასტურად, გიორგი ქემერტელიძე აცხადებს, რომ მას რამდენიმე ტაძრის წინამძღვართან, ბერებთან ჰქონია ურთიერთობა და ისინი ფიქრობენ, რომ აუცილებელია რელიგიური ტურიზმის მიმართულების განვითარება.

თეოლოგი ლევან აბაშიძე მიიჩნევს, რომ რელიგიური ტურიზმი ძირითადად მომლოცველობას დაუკავშირდება. უცხოელ ვიზიტორთა დიდი ნაკადი, ალბათ, მართლმადიდებელი ტურისტი აცხადებს, რომ მცხეთაში ჯერ კიდევ მეოთხე-მეხუთე საუკუნიდან დაიწყო პილიგრიმობა და ეს საეკლესიო განხეთქილებამდე მოხდა. ასე რომ, სომხები, ალბანელები ჩამოდიოდნენ კვართის დაფვლის ადგილის სანახავად.

„მაგალითად, ისრაელში ტურიზმის ერთ-ერთი დიდი სეგმენტი მომლოცველობაა. აქ ჩადიან არა მარტო სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ებრაელები, არამედ ქრისტიანები, მუსლიმანები. შესაძლოა, უსაფრთხოების თვალსაზრისით, იქ გარკვეული პრობლემები იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ გოლგოთაზე, ქრისტეს ჯვარცმის ადგილას, არის ეკლესია, სადაც წირვა-ლოცვა მიმდინარეობს. ასევე, ეგვიპტეში, სინას მთის ძირას არის წმიდა ეკატერინეს მონასტერი, იქვე ცხოვრობენ ბერები და სწორედ ამ ადგილების მოლოცვა ხდება პილიგრიმებისგან. ნებისმიერი სახის ტურიზმი ექსპორტის ზრდას უწყობს ხელს, ეკლესიისთვისაც შემოდის თანხები. ქრისტიანისთვის, პირველ რიგში, ისრაელი, იტალია და საბერძნეთია სამი უმთავრესი ადგილი, შემდეგ მოდის ეგვიპტე. მუსლიმანებისთვის კი მნიშვნელოვანია საუდის არაბეთი და იერუსალიმი“, — აცხადებს ლევან აბაშიძე.

მისივე თქმით, საერთოდ, წმიდა ადგილების მოლოცვა ქრისტიანობისთვის არ არის არსებითი და აუცილებელი. რა თქმა უნდა, იყვნენ წმიდა მამები, რომლებიც მოილოცავდნენ ასეთ ადგილებს, თუმცა, არსებობდნენ სხვა წმიდა მამებიც, რომლებიც ამას ზედმეტად მიიჩნევდნენ და ფიქრობდნენ, რომ მნიშვნელობა არ აქვს, რომელ ადგილას ცხოვრობ, მთავარია, ღმერთთან უფრო ახლოს იყო. მაგალითად, ღირსმა მამამ დავით გარეჯელმა წმიდა ადგილთა მოსალოცად წასვლა გადაწყვიტა, იერუსალიმის კარიბჭესთან მივიდა და მოკრძალების გამო წმიდა ქალაქში შესვლის ღირსად არ მიიჩნია თავი, თუმცა მადლის ქედიდან დიდი რწმენით სამი ქვა წამოიღო. იმ ღამით იერუსალიმის პატრიარქ ილიას უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა, რომ დავითმა „სარწმუნოებითა მისითა წარიღო სრულიად მადლი იერუსალიმისა“, ქვების დაბრუნების მიზნით ილიამ მალემსრბოლი დაადევნა დავით გარეჯელს, მამა დავითმა დაუბრუნა იერუსალიმს ორი ქვა, ხოლო მესამე ქვა უკვე გარეჯში დაბრუნებულმა ეკლესიაში დაასვენა.

ლევან აბაშიძის ინტერპრეტირებით, ამ გადმოცემის დედააზრი ის კი არ არის, რომ მთავარია ქვები, არამედ მთავარია დავით გარეჯის სულიერი მდგომარეობა.

„რაღა მაინცდამაინც იმ სამ ქვაში იყო მთელი იერუსალიმის მადლი ჩაქსოვილი?! უბრალოდ, ეს ქვები მამა დავითის ხელშენახები იყო და ამიტომ იყო მადლის ქვები. ამდენად, მთავარი მადლი მაინც ადამიანშია“, — ასკვნის თეოლოგი.

მანანა ნოზაძე

იმედი ვიქონიოთ!

„ევროპულ მდგრად პოლიტიკურ სისტემებში პოლიტიკური ალიანსები პარლამენტში იქმნება“!

„ბასამდა“, — დიახ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მოჰყვა, 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურის ჩატარებით კი, საარჩევნო 3-ეტაპიანი ციკლი დასრულდა, რომლის მთავარი შედეგი გახლავთ ქვეყნის გათავისუფლება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მოძალადე რეჟიმისაგან, — მშვიდობიანი, კონსტიტუციური, დემოკრატიული გზით, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარებისათვის!

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელისაკენ მიდის, რომლის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი გახლავთ, ქვეყანაში ძლიერი პოლიტიკური პარტიების ფუნქციონირების აუცილებლობა. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორია ამა თუ იმ პოლიტპარტიის რეიტინგი და რა შედეგი აჩვენეს მათ განვლილ საარჩევნო სამსაფეხურიან ციკლში. ნათელია, რომ „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური ისტორია დასასრულისკენ მიექანება და ეს არცაა გასაკვირი, თუ გადავხედავთ ამ ორგანიზაციის გამარგინალებულ-კრიმინალურ ბიოგრაფიას. მიუხედავად იმისა, რომ „ნაცმოძი“ თითქოს „ინარჩუნებს რაღაც პოზიციებს“, ეს არ შეეფერება სინამდვილეს, უბრალოდ, საქმე გვაქვს პოლიტინერციასთან, რომელიც დამახასიათებელია ყოფილი მმართველი პარტიებისათვის, რაც გამოიხატება რეიტინგის თანდათანობით და შეუქცევადად კლებაში. ქვეყანაში მოქმედი სხვა პოლიტიკური პარტიები მყარი და მზარდი რეიტინგით ვერ გამოირჩევიან და ვფიქრობ, რომ ისინი თავისი ელექტორატის შენარჩუნების პრობლემით არიან დაკავებულები. თუმცა, უკანასკნელმა არჩევნებმა გვაჩვენა, რომ მათ შორის დაწინაურდა ორი პოლიტიკური სუბიექტი, — ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა“ და თარხან-მოურავის „პატრიოტთა ალიანსი“. რაც შეეხება, — კოალიცია „ქართულ ოცნებას“, მოგეხსენებათ, რომ იგი ექვსი პოლიტიკური პარტიის გაერთიანებას წარმოადგენს და აქედან გამომდინარე, მისი რეიტინგიც ექვსი პოლიტიკური ორგანიზაციის რეიტინგების ჯამს უნდა წარმოადგენდეს. **ვინც კარგად ერკვევა ქვეყანის რეალურ პოლიტიკურ ვითარებაში, მისთვის სირთულეს არ წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიას აქვს ყველაზე მაღალი რეიტინგი კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, რა თქმა უნდა, ეს გახლავთ, პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, რომლის რეიტინგი სჭარბობს კოალიციაში შემავალი დანარჩენი ხუთი პარტიის რეიტინგს, ერთად აღებულს!** ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ, — თუ გავყოფთ და თანაბრად გადავანაწილებთ ექვსზე (კოალიციის სუბიექტების რაოდენობა) კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ მიღებულ პროცენტებს (ხმების რაოდენობას) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, გამოვა რომ, დაღმავალ რეიტინგზე მიმავალ „ნაცმოძრაობას“, როგორც ცალკე აღებულ პარტიას, ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონია ქვეყანაში?!.. **მოკლედ, დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში ყველაზე მაღალრეიტინგული პოლიტიკური პარტიაა „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, რომელთანაც კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ გაერთიანებით პოლიტიკურად და პარტიულად ისარგებლა ხუთმა პოლიტიკურმა პარტიამ: „რესპუბლიკელებმა“, „თავისუფალმა დემოკრატებმა“, „ეროვნულმა ფორუმმა“, „კონსერვატორებმა“ და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველომ“, რომლებსაც პარტიული კვოტირების შედეგად ათეულობით დეპუტატი ჰყავთ, როგორც ქვეყნის პარლამენტში, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, რამაც დიდად შეუწყო ხელი თითოეული მათგანის პარტიული ორგანიზაციების გაძლიერებას**. არადა, კოალიცია „ქართული ოცნების“ დაფუძნებამდე, შეიძლება ითქვას, რომ ამ ხუთივე პარტიის რეიტინგი და მათი პირველადი პარტიული ორგანიზაციები „სულს ღაფავდნენ“! ამ წერილის მიზანი არ გახლავთ პოლიტპარტიათა საარჩევნო პროცენტების დათვლა და ზუსტი მაჩვენებლების გამოყვანა, ისედაც ყველაფერი ნათელია, უბრალოდ, **სამწუხაროდ და საგანგაშოდ მიმაჩნია ის ფაქტი, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ 2 წლის წინათ დაფუძნებული პოლიტიკური პარტიის „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ რეიტინგი, არათუ არ იზრდება, არამედ აშკარა კლებას განიცდის, მიუხედავად იმისა, რომ კოალიციამ სწორედ პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ და ბიძინა ივანიშვილის პირადი, მაღალი რეიტინგის წყალობით მიაღწია გამარჯვებას საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში და უკან ჩამოიტოვა „მილევადი“ ნაცმოძრაობა და სხვა ოპოზიციური პარტიები**.

მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი კარგად არის, პირიქით, ვიმეორებ, რომ პარტია „ქართული-ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ რეიტინგმა 1 წლისა და 8 თვის მანძილზე თითქმის 40%-იანი კლება განიცადა.

როგორც ზევით მოგახსენეთ, საპარლამენტო რესპუბლიკა ძლიერი პოლიტიკური პარტიების გარეშე წარმოუდგენელია, ამიტომ მიმაჩნია, რომ **მმართველი კოალიციის წევრები უნდა მოემზადონ იმ დროისთვის, როცა მარტოდ, პოლიტიკური ან საარჩევნო ბლოკის გარეშე მოუწევთ, დაამტკიცონ საკუთარი შესაძლებლობები. ამ თვალსაზრისით კი, მიუხედავად ერთპიროვნული ლიდერობისა დიდი სამუშაო აქვს ჩასატარებელი პარტია „ქართულ ოცნება — დემოკრატიულ საქართველოს“, რომელიც დღემდე (ისევე, როგორც მთლიანად კოალიცია) ბიძინა ივანიშვილის „შენარჩუნებული“ რეიტინგის წყალობით არის, ჯერ კიდევ უპირობო ლიდერი!**

ამავდროულად, როგორც კოალიცია „ქართული ოცნების“ ნაწილში, ისე ნაცმოძრაობის ლიდერების განცხადებებში, ასევე აშშ-ის ზოგიერთი პოლიტიკური პერსონის და ევროპელი მოკავშირეების (მაგ. ევროპის სახალხო პარტია) მცდელობებში შეიმჩნევა იმის სურვილი, რომ ქვეყანაში „ნაცმოძი“ დაფიქსირდეს და დამკვიდრდეს, როგორც მთავარი ოპოზიციური პარტია. მიმაჩნია, რომ „ორპარტიულობის შემოღების“ შესაძლებლობას გამორიცხავს ის, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ გარდაქმნა ერთ პოლიტიკურ პარტიად შეუძლებელია, იმდენი პოლიტიკურად განსხვავებული ჯგუფები და პიროვნებებია მასში გაერთიანებული. აგრეთვე ის, რომ საქართველოში არანაირი წინაპირობები არ არის საამისოდ, არც — ისტორიული, სოციალური, ფსიქოლოგიური თუ სხვა! **ვფიქრობ, რომ მდგრადი პოლიტიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად და განსაკუთრებლად, საორიენტაციოდ, გეზი უნდა იქნას აღებული ევროპულ მოდელზე, ისეთ სახელმწიფოებზე, როგორებიც არის გერმანია და საფრანგეთი. ამისთვის საჭირო, რომ „ათეულობით“ ქართული პოლიტიკური პარტიის არსებობა, შექმნა და ფუნქციონირება, განისაზღვროს მკაცრი და სამართლიანი ნორმატიული საკანონმდებლო აქტებით,** რათა ამ პარტიების რაოდენობა, კვალიფიკაცია, პროფესიონალიზმი და საჭიროება, ადეკვატურად ასახავდეს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ რეალობას! **დღეს, საქართველოში არსებული რეალური პოლიტიკური რესურსი საშუალებას იძლევა 4-5 პოლიტიკური პარტიის ფუნქციონირებისა, რომელიც საშუალო ევროპული დონის შესატყვისი იქნება. აქედან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით ქვეყნის ხელისუფლებამ თავის მხრივ უნდა შექმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს შეეძლოთ, სრულად წარმოაჩინონ საკუთარი თავი, — იდეოლოგიური პლატფორმა, მემარჯვენეობა-მემარცხენეობა და ა.შ., რაც აუცილებელი პირობა და მაჩვენებელია ქვეყნის პოლიტიკური კულტურისა.** საქართველოს პოლიტიკური სისტემის სიმწიფის და ევროპულობის დამადასტურებული იქნება ისიც, როცა პოლიტიკური კოალიციები შეიქმნება მას შემდეგ, რაც პოლიტიკური პარტიები დამოუკიდებლად გადალახავენ საარჩევნო ბარიერს და ამის შედეგად შევლენ ქვეყნის პარლამენტში, სადაც აუცილებლობის შემთხვევაში ქვეყნის მთავრობის დაკომპლექტებისას (თუ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას დასჭირდება ერთი ან რამდენიმე პარტიის ხმები), ისინი ჩამოაყალიბებენ — კოალიციურ მთავრობას! — და არა ისე, როგორც ხდებოდა და მოხდა აქამდე, როცა კოალიციები ან საარჩევნო პარტიული ბლოკები ყალიბდებოდა იმისთვის, რათა მათ ერთად, როგორმე გადაელახათ საარჩევნო ბარიერი! ანდა, პოლიტპარტიები საარჩევნოდ რომელიმე „პარტია-ლოკომოტივს ჩაებმებოდნენ“ და ისე შედიოდნენ პარლამენტში, რაც არ უწყობს ხელს ქვეყანაში მრავალპარტიული სრულფასოვანი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას, მის მდგრადობას, რომლის პრინციპი უნდა იყოს, — ძლიერი პარტიები, ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფო!

იმედი ვიქონიოთ, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების განხილვისას, არ მოგვიწევს „მარჩიელობა“ იმ პოლიტიკურ პარტიათა რეიტინგების დათვლისას, რომლებიც დღეს, — კოალიციებში, ალიანსებში თუ საარჩევნო ბლოკებში არიან „მოკალათებულნი“ და ოსტატურად „ნიღბავენ“ საკუთარ შესაძლებლობებს, თუ რეალურ უნარ-ჩვევებს!..

ჯუმბერ კირვალიძე,
პოლიტოლოგი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **ახლა არასერიოზული იქნება იმის განცხადება, თუ რა მოუვა ელ.ენერგიის ტარიფს. — სერიოზულად განაცხადა მთავარმა მარეგულირებელმა ქალბატონმა, რომლის ხელფასიც, ეჭვგარეშეა, ოთხნიშნა რიცხვით გამოიხატება.**

● **ყველა „ახალი მეთოდოლოგია“, რაღა აუცილებლად გაძვირებას იწვევს. გასაიაფებელი „მეთოდოლოგიები“ არ არსებობს?!**

● **რა მაინტერესებს იცით, აი ახლა ვინც არის ხელისუფლებაში (პრემიერი, პრეზიდენტი, მთავრობის წევრები, დეპუტატები, მერები, გამგებლები, საკრებულოს წევრები) როდისმე ფიქრობდნენ პოლიტიკოსობას და ემზადებოდნენ ამისთვის თუ პოლიტიკას რა უნდა, მაგი ხომ ყველამ იცის?**

● **მგონი ნოდარ დუმბაძეს ჰქონდა: გემის კაპიტანად რომ დანიშნავენ არაზღვაოსანს და ისიც დანგრეულ, მილეწილ-მოლეწილ გემს და გაუბედურებულ მგზავრებს რომ მიიყვანს დანიშნულების ადგილამდე. ის კაცი ხომ არის მოსაკლავი, გემის კაპიტნობას რომ დათანხმდა, მაგრამ ვინც ის დანიშნა იმას რა... ?**

● **ახლა როგორაა საქმე, გაღმა შეედავეს პონტია ხო? აბა ერთი, ჯიგრებო მოდი ავწონ-დავწონოთ და იმ კანონი**

ლის არ იყოს ლოგიკურად ვიმსჯელოთ, ვისზე და რა იცოდა, ვისზე ფლობდა ინფორმაციებს, რამდენს და რა ხარისხის...

ეს ნაცმაცურული გოდება და სტრელკების გადაყვანა, ძალიან უსუსურად გამოიყურება, ღმერთო მაპატიე, მაგრამ სადღაც დარწმუნებულიც კი ვარ, რომ სწორედ მათი ნახელავია.

● **ხშირად ვიმეორებ ხოლმე, პოლიტიკური სისტემა უნდა შეიცვალოს-მეთქი და მინდა გითხრათ, რას ვგულისხმობ ამაში:**

1. არსებული საარჩევნო კოდექსი უნდა დაიხეს და დაიწეროს თვისობრივად ახალი კოდექსი.

2. ასევე დასახევი და ხელახლა დასაწერია კანონი პოლიტიკური გაერთიანებების და მათი დაფინანსების შესახებ.

3. შსს უნდა დაიშალოს რამდენიმე დამოუკიდებელ სტრუქტურად

4. საგადასახადო კოდექსი უნდა გახდეს მარტივი და მისი წაკითხვა და იქედან შინაარსის გამოტანა უნდა შეეძლოს ჩემს უბანში ყველს, რომ ყიდის იმ ქალბატონსაც.

6. სახელმწიფო მოხელეების ხელფასებს, პრემიებს, მანქანებს, მათ ატესტაციას და ზოგადად ყველაფერს რაც სახელმწიფო აპარატის მუშაობას ეხება, უნდა არეგულირებდეს მკაფიო და ყველასათვის, გასაგები კანონები და არა ვინმე კეთილის ნება-სურვილი.

7. ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი უნდა იყოს სახელმწიფო იდეოლოგიის და პროპაგანდის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი.

დანარჩენი თქვენ დაამატეთ ან გამოაკელით პატივცემულებო.

● **კაცო, შეიძლება რომ ყოველ სამშაბათს „კავკასიაზე“ და პარასკევს ნებისმიერ სხვა არხზე, ეს მაია „სერგეევნა“ ორჯონიკიძე, ნებისმიერ თემაზე — დაწყებული აბორტიდან დამთავრებული ვეიერშტრასის აპროქსიმაციული თეორემით, იჯდეს ბრძენის გამომეტყველებით და ბაზრობდეს (სწორედაც რომ ბაზრობდეს)?**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

აფხაზეთის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა პუტინის შემდგომ რუსეთთან მოლაპარაკების საგანი იქნება

საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში ალექსანდრე თვალჭრელიძეს ესაუბრა.

— ბატონო ალექსანდრე, როგორ შეაფასებდით ბიზნესმენების ინიციატივას — ვინც არჩევნების მეორე ტურში მიიღებდა მონაწილეობას, ანუ გაივლიდა მარკირებას, მათ დღის ბოლომდე საშუალება ექნებოდათ, ესარგებლათ სპეციალური ფასდაკლებით სასურველ სავაჭრო ქსელებშიო. ცესკო ბიზნესმენებს მიესალმა. ცესკოსვე განმარტებით, ბიზნესმენების მიერ არჩევნების კომერციული მიზნით გამოყენებას საარჩევნო კანონმდებლობა არ კრძალავს. თქვენც ფიქრობთ, რომ ბიზნესმენებს კომერციული და არა პოლიტიკური ინტერესი ამოძრავებდათ?

— მეჩვენება, რომ ამ ინიციატივაში იყო მისწრაფებების ერთობლიობა. რასაკვირველია, კომერციული ინტერესი რომ არ ყოფილიყო, ბიზნესმენები ამას არ გააკეთებდნენ, მაგრამ მეორე მხრივ, მივიჩნევ, რომ ბოლოს და ბოლოს, ბიზნესმენებმა საკუთარი თავი იგრძნეს სამოქალაქო საზოგადოების ნაწილად და უნდოდათ, თავისი წვლილის შეტანა ამ პროცესში. პირადად მე ასეთ ინიციატივებს მივესალმები.

— არჩევნების ტექნოლოგიების თვალსაზრისით, აშკარად წინ ვდგამთ ნაბიჯებს. თუ „მოქკავშირი“ ხმების მისაღებად ფქვილს, ზეთსა და ბრინჯს არიგებდა, „ნაცმოძრაობა“ სავაჭრო ქსელების მფლობელებს წინასაარჩევნოდ გარკვეულ პროდუქტებზე ფასის დაკლებას აიძულებდა, ახლა არჩევნებზე მოსახლეობის აქტივობის გასაზრდელად სხვა გზა მოიძებნა. თქვენი ვარაუდით, ბიზნესმენების ინიციატივა ვის ინტერესებში უფროა — ხელისუფლების, „ნაცმოძრაობის“, თუ დანარჩენი ოპოზიციის?

— დავიწყოთ იმით, რომ ტექნოლოგიურად და მსოფლმხედველურადაც პრინციპული განსხვავებაა ფქვილის დარიგებასა და ბიზნესმენების ინიციატივა-ტექნოლოგიას შორის. როცა „მოქკავშირი“ ფქვილს არიგებდა ან ქალაქებსა თუ სოფლებში გზას აგებდა, „ნაცმოძრაობას“ გაზი გაჰყავდა, ამის გამკეთებლის ვინაობა ძალიან ნათელი იყო. „მოქკავშირიც“ და „ნაცმოძრაობაც“ რამეს თუ გააკეთებდა, იქვე ითხოვდა ხმის მათთვის მიცემას. ბიზნესმენების ინიციატივა სულ სხაგვარად ჟღერს — ხალხნო, მიდით არჩევნებზე და ხმა ვისაც გნებავთ, იმას მიეცით! ამ ორ პოზიციას შორის პრინციპული განსხვავებაა. თუ წინა შემთხვევები პოსტკომუნისტური ტექნოლოგია იყო, ბიზნესმენების ინიციატივა ევროპული ტიპის საარჩევნო ტექნოლოგიაა.

— ევროკავშირთან ასოცირებული ურთიერთობების ხელშეკრულების შემდეგ ამოქმედდება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ევროპულ ბაზარზე პროდუქციის შეტანა საკმაოდ სერიოზულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. თქვენი აზრით, ამ ეტაპზე რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ ხელი შეუწყოს პოტენციურ ქართველ ექსპორტიორთა ევროპულ ბაზარზე შესვლას?

— ჩვენ ჯერ ამ ხელშეკრულების რატიფიცირება უნდა მოვახდინოთ, შემდეგ, როცა მას ყველა ქვეყანა რატიფიცირებას გაუკეთებს, ევროკავშირმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. მოგეხსენებათ, რატიფიცირების პროცესს რამდენიმე წელი დასჭირდება. ამ პროცესში ქართული სახელმწიფოს როლი შეიძლება გადამწყვეტიც კი იყოს. მან უნდა გაუწიოს ლობირება და გაუკეთოს მარკეტინგი ქართულ პროდუქციას საერთაშორისო ბაზარზე.

მოგიყვანთ ასეთ მაგალითს. როდესაც ჟაკ შირაკი პირველად გახდა საფრანგეთის პრეზიდენტი, გადაწყვიტა, მირორუას კუნძულზე ბირთვული აფეთქებები ეწარმოებინა, რათა საფრანგეთის ბირთვული იარაღი გაეუმჯობესებინა. არაფერმა არ გაჭრა, რომ ამ გეგმაზე უარი ეთქვა. მაშინ, ამერიკული საზოგადოების თაოსნობით აშშ-ში გამოცხადდა ბოიკოტი ფრანგულ ღვინოზე, მინერალურ წყალზე, ყველსა და სხვა ფრანგულ პროდუქციაზე. მხოლოდ ამის შემდეგ შეწყვიტა ჟაკ შირაკმა თავისი ეს პროექტი. მისთვის სახელმწიფო ინტერესი იყო ფრანგული პროდუქციის საზღვარგარეთ გასვლა.

მეორე მაგალითი — მართალია, ამას არ იცავენ, მაგრამ ჩინეთში არის ასეთი სისხლის სამართლის მუხლიც — ვინც საზღვარგარეთ ჩინური პროდუქციის ფალსიფიცირებას გააკეთებს და ამით ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ ჩინური პროდუქციის იმიჯის დაკნინებას, ის სიკვდილით ისჯება. ახლა, აი ასეთი ორი პარადიქსული ფაქტი გამახსენდა.

ჩინეთში არის ასეთი სისხლის სამართლის მუხლიც — ვინც საზღვარგარეთ ჩინური პროდუქციის ფალსიფიცირებას გააკეთებს და ამით ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ ჩინური პროდუქციის იმიჯის დაკნინებას, ის სიკვდილით ისჯება.

საქართველომ ამ თვალსაზრისით ძალიან ბევრი რამ უნდა გააკეთოს. თავის დროზე ჩვენთან იყო ქართული პროდუქციის ექსპორტის საგენტო. მესმის, რომ ის არ იყო ეფექტიანი, მაგრამ რაღაცნაირად ამ მიმართულებით სახელმწიფო სტრუქტურები უნდა ამოქმედდნენ. კარგი იქნებოდა, თუ ყველა საელჩოში დაინიშნებოდა მაღალი კლასის სავაჭრო ატაშე. ამის გაკეთება აუცილებელიც კია. სავაჭრო ატაშე საელჩოებში დესპანის შემდეგ პირველი ფიგურა რომ იყოს, ცუდი არ იქნებოდა.

— სტატისტიკური მონაცემებით, 2013 წელს საქართველოდან რუსეთში ღვინის ექსპორტი 73,9%-ით გაიზარდა. ფულად განზომილებაში ეს 74,1 მლნ დოლარს, ხოლო ექპორტის 3,7% შეადგენს. ასევე 60,1%-ით გაზრდილია მინერალური წყლების ექსპორტი, რომლის ღირებულება 72, 8 მლნ დოლარია, რაც ექსპორტის 3,6%-ია. 2012 წელთან შედარებით 35%-ით გაიზარდა რუსეთსა და საქართველოს შორის საქონელბრუნვა. საქონელბრუნვამ 501,7 მილიონი შეადგინა და რუსეთი საქართველოს მეოთხე პარტნიორი ქვეყანა გახდა. მანამდე იგი მეექვსე ქვეყანა იყო. პოლიტიკოსთა ნაწილი შიშობს, რომ რუსეთზე საქართველოს ეკონომიკურმა დამოკიდებულებამ, შესაძლოა, ისეთ ზღვარს მიაღწიოს, რომ რუსეთს შიდა პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა შეეძლება. ამის ალბათობა რამდენად რეალურია?

— არა მგონია, რომ ეს მონაცემები ძალიან მაღალი იყოს, რადგან ჩვენ რუსეთთან ურთიერთობაში ძალიან მძიმე დღეები გველის. პრემიერმა მედვედევმა ბრძანა — თუ საქართველო ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმებას მოახდენს, მაშინ რუსეთი იძულებული იქნება, თავისი შიდა ბაზარი დაიცვასო. მეჩვენება, რომ მედვედევის მხრიდან ეს უფრო პოლიტიკური დემარში იყო, ვიდრე რეალური, მაგრამ რუსეთი ვერასოდეს ვერ გახდება ჩვენი პირველი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორი.

რაც უფრო მეტად გაიზრდება ექსპორტი, მით უფრო დაბალი იქნება ჩვენ ექსპორტში ღვინისა და მინერალური წყლების, ხილის, მწვანილისა და სხვა პროდუქტების წილი. რუსეთს კი ჩვენგან სხვა არაფერი უნდა. ჩვენი ამოცანაა, რომ მრეწველობა განვავითაროთ, რომ მოვახერხოთ სხვა რაღაცეების გატანა. მათ შორის, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის, ვთქვათ პოლიმერების.

ჩემი აზრით, აუცილებელია მთავრობა გამოვიდეს ინიციატივით, ხელი შეუწყოს და წაახალისოს ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება. ამიტომაც ვფიქრობ, რომ რუსეთის წილი ჩვენს საგარეო ვაჭრობაში ეტაპობრივად გაიყინება — იგი მიაღწევს გარკვეულ პიკს, მაგრამ შემდეგ აღარ შეიცვლება, ხოლო სხვა ქვეყნებში იგივე აშშ-ში და ევროპის სხვა ქვეყნებში ჩვენი საგარეო ვაჭრობის სალდო გაიზრდება. ჩვენ უფრო და უფრო მეტი პროდუქციის ექსპორტს მოვახდენთ.

რაც შეეხება ზეგავლენას. ქართული საზოგადოების ნაწილში არის ნოსტალგია რუსეთის მიმართ. არიან ადამიანები, რომლებიც რუსეთის ე.წ. „შავ ბაზარზე“ იოლად საქმიანობდნენ. ამ ადამიანებში სსრკ-ს ნოსტალგია ნამდვილად არსებობს. მათი უდიდესი უმრავლესობა ვერ გადაეწყო. მათი რაოდენობა წლითი წლობით მცირდება. სარბიელზე გამოდის ახალი თაობა, რომელსაც რუსეთის სივრცე და ბაზარი არ აინტერესებს. ამიტომ, მიმაჩნია, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ზრდასთან დაკავშირებული შიშები გადაჭარბებულია.

— პრემიერის სპეცწარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ კარასინთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ რუსეთი დაინტერესებულია აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთის აღდგენით. მისი თქმით — „ჩვენ გვაქვს სერიოზული პირობები სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით. თუ რუსული მხრიდან იქნება სერიოზული ინიციატივები, ჩვენ მათ სერიოზულად განვიხილავთ და ჩვენს პირობებს წარვუდგენთ“. თქვენი აზრით, რა პირობები უნდა წარუდგინოს თბილისმა მოსკოვს აფხაზეთის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღსადგენად?

— ჩვენი მოთხოვნა უნდა იყოს ერთადერთი — რუსეთმა შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ე.წ. სარკოზი-მედვედევის შეთანხმების მეექვსე პუნქტი. ანუ, გაიყვანოს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსული ჯარი. რამდენადაც ვიცი, ახლა უკვე აფხაზურ მხარესაც აქვს თავისი პირობები სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით. სოხუმი ასეთ შესაძლებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს, თუ სომხეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს.

ჩემი აზრით, აფხაზეთის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა საკმაოდ რთული პროცესი იქნება. იგი კიდეც რომ აღდგეს, აფხაზეთში, ისევე როგორც რუსეთში, ისეთი კორუფცია და აღვირახსნილობაა, დარწმუნებული ვარ, მატარებლების ამ შემადგენლობესა და სომხურ ტვირთებს გაძარცვავენ. არა მგონია, რომ ეს სახვალიო და უახლოესი მომავლის საქმე იყოს. ჩემი აზრით, აფხაზეთის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა პუტინის შემდგომ რუსეთთან მოლაპარაკების საგანი იქნება. იმ ეტაპზე რკინიგზის გახსნის შესაძლებლობები და საფრთხეები სულ სხვაგვარად დალაგდება.

კოგა გენდელიანი

◎ ალიანჩალიანი

ნოქალაქევს საერთაშორისო არქეოლოგები ესტუმრნენ

ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალში უკვე ქართულ-ინგლისური საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკა ანთიძე, მისი მოადგილე დავით ლომიტაშვილი და სენაკისა და ჩხოროწყუს ეპისკოპოსი, ავსტრალიის მიტროპოლიტი მეუფე შიო ნოქალაქევის საერთაშორისო ექსპედიციის მიერ გამოვლენილ მასალებს გაეცნობიან და ორმოცმოწამეთაში განსახორციელებელ სამუშაოებს დაგეგმავენ.

სააგენტოს ინფორმაციით, უახლესი აღმოჩენები ნოქალაქევში მკვლევარებს დამატებით ინფორმაციას აწვდის ციხეგოჯი არქეოპოლისის გვიან ბრინჯაო ადრე რკინის ხანის ნამოსახლარის შესახებ. ამ დროისთვის ადგილზე აღმოჩენილია ამიერკავკასიისთვის ფაქტობრივად, უანალოგო ორმხრივ პროტომიანი ზოომორფული ფიგურების ნაშთები.

სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროექტის პარალელურად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ უკვე დაგეგმა ნოქალაქევის ორმოცმოწამეთა ეკლესიის რთულ მდგომარეობაში არსებული იატაკის დღემდე შეუსწავლელი მონაკვეთების კვლევით-არქეოლოგიური სამუშაოების განხორციელება. სპეციალისტების წინასწარი ვარაუდით, ინტერიერის კვლევის შედეგად, შესაძლოა ორმოცმოწამეთაში ტაძრის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი და სპეციალისტებისთვის დღმდე უცნობი მასალები გამოვლინდეს.

◎ როდესაც უნდა წახვიდე...

როდესაც ჟვანიას გარდაცვალებიდან რამდენიმე საათში ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ პრემიერი გაზით გაიგუდა, მაშინვე ვიფიქრე, რომ ის მოკლული იყო.

როდესაც ნიკა გვარამიას კაბინეტში მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს და კახა კოჟორიძემ დაასკვნა, რომ აპარატურა აუცილებლად ხელისუფლების მიერ იყო დამონტაჟებული, მაშინვე ვთქვი, რომ აპარატურას მხოლოდ გვარამია-ნაცები თუ დააყენებდნენ.

ეგეთი სტილი აქვთ ამ ნაძირლებს.

და აი, ახლა, როდესაც ჩერგო-თამარამ (რომელიც, თურმე, ჟურნალისტი ყოფილა) ეროსის დაღუპვა კალაძის სიტყვებს დაუკავშირა, მხოლოდ იმას ვფიქრობ, რომ თუ თვითმკვლელობის ან უბედური შემთხვევის ვერსია არ დადასტურდება, სრული საფუძველი მექნება ვიფიქრო, რომ ეროსი ნაცებმა მოიშორეს — ერთი კაცის მკვლელობით რამდენიმე კურდღელი დაიჭირეს.

ბევრი მკვლელობა დაუგეგმავთ და აღუსრულებიათ. ბევრი მოუკლავთ ცხელ გულზე და ბევრიც შემოკვდომიათ. ეგეთი სტილი აქვთ ამ ნაძირლებს.

თუმცა, იმასაც ვერ ვიტყვი, რომ თავს არ მოიკლავდა. ყველაფერი ხდება, ყველაზე ძლიერ ადამიანებს მოუკლავთ თავი და ხშირად ეს ყოფილა დემარში იმ საზოგადოების მიმართ, რომელშიც ცხოვრობდნენ, ყოფილა ის, რასაც „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს“ ქვია და ბარემ ისიც ვთქვათ, სად არ სჯობს.

არ სჯობს იქ, სადაც კატებს აყეფებენ; იქ, სადაც ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიან; იქ, სადაც „უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად“ და სადაც „მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება“.

უფრო ძლიერ ადამიანებს მოუკლავთ თავი. განრიდებიან, გაცლა ამჯობინეს. ისიც არ ვიცით, კიდევ რამდენი გაეცლება ამ „ამაოებათა ბაზარს“, ზოგი იმ ქვეყნად და ზოგიც — სხვა ქვეყნებში.

კაცი რუსთავიდან

ჰოოო... მერე კი, დაიწყება და აღარ დასრულდება ნიანგის ცრემლების ღვრა და ცარიელი თავების კანტური: „რამ აიძულა... რატომ... რისთვის...“

რამ და - ზღვამ, სიბრიყვის, უნიჭობის, უმადურობის, უსაქმურობის, თვითკმაყოფილების ზღვამ... მაგრამ ზღვას აქვს ნაპირი, ჩვენს ეროვნულ, სამამულო, ენდემურ სისულელეს კი არც ნაპირი აქვს და არც დასასრული.

ერთხელ საზოგადოებისთვის ერთ საპატივცემულო ადამიანზე მითხრა, მე რომ კაცი გადამაგდებს, ხო აზრზე ხარ, რა დონის ჩათლახი იქნებაო, და სინანულით დასძინა — თუმცა, რა გინდა, მაინც მაგას უსმენენ და მაგისი სჯერათო.

ბევრის უმადურობა გაუხსენებია და, ჰოი, საკვირველებავ (თუმცა, რაღა უნდა გიკვირდეს), — რამდენიმე მათგანს დღეს ეროსის სახლთან მოვკარი თვალი. იდგნენ, ტიროდნენ, ელოდნენ, როდის მიუშვერდნენ კამერას და მიკროფონს.

ბევრჯერ გვიკამათია, ნაწილობრივ არ ვეთანხმებოდი ღირებულებათა მისეულ სისტემას, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი - უყვარდა სამშობლო, ოჯახი და მეგობრები.

სამშობლო?.. ვთქვათ სიმართლე - სამშობლო ვერ აფასებდა. მეგობრები? ბევრმა უღალატა და ახლა იმას ვფიქრობ, როგორ ვიქნებოდი მის ადგილას მე. ვიქნებოდი კუთხეში მიმწყვდეული, გაოგნებული და ერთი ფიქრით შეპყრობილი — „ან ყველაფერი, ან არაფერი“.

თუ „ყველაფერი“ და... ძალიან სახიფათო იყო - ბევრი იცოდა, ყველაფერი ახსოვდა და აზრის მწყობრად, დამაჯერებლად გადმოცემა შეეძლო. შესაძლოა, მოკლეს. ვისი სტილია მკვლელობა? თუნდაც დაგეგმილი, თუნდაც დაუგეგმავი და თუნდაც ცხელ გულზე!

თუ „არაფერი“ და... უნდა წახვიდე.

გული დამწყდა-მეთქი — რომ ვთქვა, და ოჯახს მივუსამძიმრო, იმას ნიშნავს, რომ არც არაფერი მითქვამს.

გაოგნებული ვარ.

გიგი მესვეტე

◎ სათვითმმართველო არჩევანი

ოპონენტები

მთელ დღეს გადაუღებლად წვიმდა იმ სოფელში, სადაც ფერმერულ მეურნეობაში გვერდიგვერდ მომუშავე გოგიტა და ჯუმბერი, პოლიტიკურად განსხვავებული თვალთახედვის გამო, ერთმანეთის ოპონენტებად ითვლებიან. მართალია კარგი მეზობლობა აქვთ და ჩვენებური პარლამენტის წამბაძველობით კოჰაბიტაციასთანაც არ არიან მწყრალად, მაგრამ რადგან ქვეყნის მართვა-გამგებლობის საკითხებში ვერ თანხმდებიან, ჯიუტი თხებივით სულ ერთმანეთის რქენაში არიან. იმ დილასაც წაიტაკნენ.

— ვენაცვლე ღმერთსა, — თქვა გოგიტამ, — ნახე წვიმამ მიწა როგორ ჩააბუჟბუჟა.

— ცარიელა წვიმა რა ფეხებად მინდა? — ცხვირი აიბზუა ჯუმბერამ.

— ვა, მა პურმარილსაც ხო არ მააყოლებდა? სხვა თუ არაფერი, ჰაერი მაინც გაიწმინდება.

— და მთავრობაცა...

— მთავრობას რა ჭირს, ჯო, გასაწმენდი?

— აი, ჩამთავრდეს არჩევნები და ნახავ!

— აჩმახებ შენთვინა, — გააბოლა გოგიტამ, — ნაცების გარდა ერთი ისეთი მთავრობა მაჩვენა, შენ რო მოგეწონება.

— გამამადგა და არ მამეწონა?

— მაინც რაში უნდა გამოგდომოდა?

— ყველაფერში, ჯო, მარტო მიწის მოხვნა ხო არ არი, აგე სიმინდი ისევ გაუთოხნავი მაქ.

— აბა უყურე ამას, — დაუცაცხანა მეზობელმა, — სადა ნახე, ჯო, მთავრობა გლეხებს სიმინდს უთოხნიდა?

— ჩვენთან არა, მაგრამ ევროპასა და ამერიკაში ხომ...

— ეგ ვინ ჩაგაგონა, ჟულიკმა სააკაშვილმა? სულ მაგ ოღრაშის ბრალია, ოცნება ახლა ასეთ გაწამაწიაში როა. რა ქნას მეტი მთავრობამ, გლეხებს მიწა მუქთად დაუმუშავა, დაზღვევა ხელაღებით ყველას მისცა, ხელფასებიც შეძლებისდაგვარად გაზარდა.

— თავისთვინა?

— თავისთვინა თუ სხვისთვინა, ხო გაზარდა? — პენსიაც 150 ლარი გახადა.

— გინდა 300 გახადე რა, თუ ვერაფერს იყიდი, რად გინდა.

— უმადური ჯორი ხარ, ჯო, უმადური. მთავრობამ რაც უნდა კარგი გააკეთოს, შენ თვალებს მაინც ვერაფერს დაანახვებ.

— აბა რა ვერ დავინახე? — თუ ერთ მაგალითს მაინც დამისახელებ, საჯაროდ თავს დავიჭრი.

— მეტი მაგალითი რა გინდა, ვერა ხედავ, ადგილობრივი არჩევნები ორ ტურად როგორ დემოკრატიული სიკრიალით ტარდება?

— კი, როგორ არა, დიდად ნასიამოვნები დავრჩი, როცა ვნახე, მარნეულში თქვენი თანაპარტიელები ყუთებში ბიულეტენებს როგორ ბღუჯაბღუჯა ყრიდნენ.

— მერე რა იყნოსე მაგაში უდემოკრატიულობისა? აბა ის იყო დემოკრატია, თქვენი მმართველობის პერიოდში საარჩევნო ყუთებს რო იტაცებდნენ? ვერ გამიგია რატო უნდა გაიტაცო, ჩაყარე რაღა მაგ ოხერ ყუთში რამდენიც გინდა, ვინ გედავება?

— ჰო, გაიზარდე, ბატონო, ხელფასები და პრემიები მაგ ოხერი ბიუჯეტიდან, ვინ გედავება?

— რას გადაეკიდე, ჯო, მაგ ხელფასებსა და პრემიებს, აბა, როგორ გინდა, მინისტრებმა უსმელ-უჭმელებმა უნდა იმუშაონ? ყოველ შემთხვევაში ახლანდელი მთავრობა თავის წინამორბედივით მუცლის ამოსაყორად ბიზნესს მაინც არ აყაჩაღებს.

— გინდა დაგიჯერო, რომ ახლა ბიზნესმენები მთავრობას საჭმელ-სანოვაგითა და მაყუთით საკუთარი სურვილით ამარაგებენ? და ადგილობრივი არჩევნებიც წყნარად და ნარნარად, ხელისუფლების ზეწოლისგან თავისუფალ მთის ანკარა წყაროსავით მირაკრაკებს?

— ახლა ზეწოლასაც მიადექი, არა? იქნებ ისიც ზეწოლად მონათლო, მთავრობამ წინასაარჩევნო პერიოდში ოპონენტთა დაჭერა-დაპატიმრებაზე მონიტორინგი რომ გამოაცხადა?

— ჰო, ერთი ხელით მონიტორინგი გამოაცხადა, ხოლო მეორეთი ჩვენი საარჩევნო შტაბის თავკაცი უგულავა დააპატიმრა, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყიან, ტყუილუბრალოდ გაბაწრა.

— მაგან, ჩემო ძმაო, სახელმწიფო თანხები იმდენი ფლანგა და სანსლა, რომ ღირსი იყო და გაბაწრა.

— მაგრამ თუ დაჭერა უნდოდათ, ეგ კაი ხალხი მორატორიუმს რატომღაც აცხადებდა?

— მაგაში გეთანხმები, კაცს, რომელსაც ამდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, როგორ უნდა უთხრა, ბატონო ჩემო, მართალია ქვეყნის ამომგდები ხარ, მაგრამ არჩევნების ხათრით ვერ დაგიჭერო?

— კარგია, რომ თავადვე ხვდები შენი რჩეულის უსუსურობას. ნუ გერიდება, თქვი, რომ ოცნების კოალიციური მთავრობა უნიათო გამოდგა და ოპოზიციაზე არაადამიანური ზეწოლით ცდილობს, არჩევნებში გამარჯვების მოპოვებას.

* * *

...ამის შემდეგ რა თქვეს, აღარ მომისმენია, დედაქალაქში დასაბრუნებელი ვიყავი და ჯუმბერა-გოგიტას დებატის დასრულებას ვეღარ დაველოდე. თუმცა, იმ საღამოს შერატონ მეტეხი-პალასის სასტუმროში თბილისის მერობის კანდიდატთა შორის გამართული კიდევ უფრო მწვავე და საინტერესო დებატის მომსწრე გავხდი. დედაქალაქის მერობის მოწადინე ნაცების კანდიდატ მელიას, როგორც მის პარტიელებს სჩვევიათ თავი ყოყლოჩინად ეჭირა, ოპონენტს ცინიზმით სავსე ეპითეტებით ამკობდა და „ბევრ სხვა ნაკლთან“ ერთად ის ფეხბურთის უცოდინარობაშიც დაადანაშაულა (ნარმანიამ გერმანია-ბრაზილიის გუნდების წინასწარი შედეგის პროგნოზისგან თავი შეიკავა).

აი, ხომ ხედავთ, ბატონებო, მიმართა მან ტელევიზიით ამომრჩევლებს, ეს პიროვნება, რომელიც ფეხბურთის ანბანშიც ვერ ერკვევა, მილიონიან ქალაქს როგორ წაუძღვება? თუ მას აირჩევთ, ყველაფერი თქვენ თავს დაებრალეთ, არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ მენეჯერად მონათლული ნარმანია თბილისს აშენების ნაცლად არ დაანგრევს!

ხალხმა მელიას მელიობა, ნაცების ავსულობა და უზნეობა კიდევ ერთხელ იწრმუნა და დავით ნარმანია თბილისის თავკაცად ერთსულოვნად აირჩია. წუნკალა ნაცებს მართალია, კანდიდატურა ამჯერადაც ჩაუვარდათ, მაგრამ, ვფიქრობ, წარმატების ერთი შანსი მაინც შემორჩათ — მოეშვან ქვეყნის ნგრევაში ნაწთრობ დემაგოგიას და ჭარტალა ენა მუცელში სამუდამოდ ჩაიგდონ!

ოთარ ხუციშვილი

◎ ალიანჩალიანი

ექსპერტის აზრი

ეროსი კიწმარიშვილს **თავის არეში, რომ მიბრჯნით ნასროლი ჭრილობა აქვს, ჩატარებულ ექსპერტიზაში მონაწილე ყველა ექსპერტი თანხმდება, — ამის შესახებ დამოუკიდებელმა ექსპერტმა მაია ნიკოლაიშვილმა განაცხადა, რომელიც კიწმარიშვილის ოჯახის თხოვნით ექსპერტიზის პროცესში ჩაერთო.**

— ნასროლია უმანძილო დისტანციიდან — მიბრჯნით. ასახულია ლულის ანაბეჭდი — შტანცმარკა. ეს კლასიკურად ასახული ლულის კვალია, რაც იშვიათია. ვისი ხელით იყო ნასროლი, ამას ჩვენ ვერ დავადგენთ, თუმცა მიბრჯნით არის ნასროლი. დადგინდა, რომ იარაღი, რომლითაც გაისროლეს, მძლავრია და დაზიანებულია თავის ქალის ძვლები, — განაცხადა მაია ნიკოლაიშვილმა.

მისი თქმით, კიწმარიშვილის სხეულის ექსპერტიზა დასრულებულია, რის შემდეგაც კვლევა ჩაუტარდება, როგორც ავტომობილს, ასევე შემთხვევის ადგილს.

ინტერპრესი

◎ ღირსეული ადამიანები

შუქნიშანთან ვიმათხოვროთ?

გაგონილი **გექნებათ: სხვადასხვა სახელმწიფოში ქვეყნის ღირსეული ადამიანები შესაბამისი პენსიით არიან უზრუნველყოფილი. მაგალითად რუსეთში სხვადასხვა სოციალური შეღავათები და მერიის დანამატიც აქვთ მოსკოველებს. თქვენ წარმოიდგინეთ ჩელიაბინსკში იქაური მერიის დანამატი აქვთ პენსიონერებს. ხშირად ლატვიისა და ესტონეთის მაგალითები მოჰყავთ. არც იქ ივიწყებენ ქვეყნის ღირსეულ ადამიანებს. ჩვენში, თანხა რომ გაუჩნდათ მერიასა და საკრებულოს წევრებს, პრემიები დაირიგეს, არც პარლამენტარები ჩამორჩნენ. საზოგადოების ღირსეული წევრები არც გახსენებიათ. გული დაგწყდება: გამოჩნდა არასამთავრობო ორგანიზაციები, ვინც ინვალიდებს სხვადასხვა კატეგორიისა და ორიენტაციის ადამიანთა ინტერესებს იცავს. სრულიად ლოგიკურად გებადება კითხვა: თუ ძალოვანი ვეტერანი არ ხარ და ხარ შენს დარგში, საზოგადოებაში ღირსეული ორდენით დაჯილდოებული, ასეთი ალბათ, ბევრიც არ გახლავთ, 65 წლის ასაკიც სოლიდურია. არ ხარ არც ვიღაცის დახმარების სიაში (რახან არ გიმღერია და გიცეკვია) ამიტომ ეგებ პარლამენტმა გაიღოს ელემენტარული მოწყალება ამ კატეგორიის მიმართ ბოლოს და ბოლოს, სანამ შუქნიშნებთან მათხოვრობას დავიწყებდეთ.**

ნოშრევნ კუჭუხიძე,
პენსიონერი

SIC!

რკინიგზის რელსებზე შემდგარი პოლიტიკა

რატომ აქტიურობენ აფხაზეთში მცხოვრები სომხები?

საქართველოს რკინიგზის პოტენციალი და აფხაზური მონაკვეთის აღდგენა დროდადრო განხილვის საგანი ხდება. **ჯერჯერობით კონკრეტული ნაბიჯები არ იდგმება, თუმცა, საუბარი სულ უფრო ხშირდება.**

პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძის განცხადებით, რუსული კომპანიები ქართული რკინიგზით დაინტერესდნენ.

„საქართველოს რკინიგზით დაინტერესებული არიან რუსული კომპანიები და მათი მხრიდან არის წინადადებები, რომ ჩვენი ტრანზიტი გამოიყენონ თავიანთი პროდუქციის ექსპორტისთვის. საუბარია, ნავთობპროდუქტებზე, მაგრამ მხედველობაში მაქვს რკინიგზა, რომელიც აზერბაიჯანის გავლით მოდის. ეს აინტერესებთ რუსულ კომპანიებს და ამ თვალსაზრისით მუშაობენ“, — განაცხადა აბაშიძემ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ.

რა თქმა უნდა, მაშინვე გაჩნდა მოსაზრება, რომ რუსეთის ინტერესი რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენასაც უკავშირდებოდა. ამ საკითხის ირგვლივ მანიპულაციები უკვე დიდი ხანია, დაწყებულია, არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთში, აფხაზეთსა და სომხეთშიც.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის აზრით, აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს ეხება და აფხაზეთთან კავშირი არ აქვს.

„ჯერჯერობით ამაზე საუბარი არ არის, რკინიგზის აღდგენა ეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს, ანუ არაფერი საერთო არა აქვს აფხაზეთთან. შესაბამისად, ეს რკინიგზა იქნება თუ არ იქნება, მხოლოდ რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებების სფეროა, თუმცა, ჯერჯერობით არანაირი საუბარი ამ მხრივ არ მიმდინარეობს“, — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა და დასძინა, რომ ეს საკითხი უფრო მეტად რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელის ზურაბ აბაშიძის კომპეტენციაა.

თუკი ქართველები და რუსები ამ ეტაპზე ხმამაღლა არაფერს საუბრობენ, აფხაზეთში უკვე მიმართვაც კი გავრცელდა რკინიგზის აღდგენასთან დაკავშირებით, ოღონდ მისი ინიციატორები იქაური „პარლამენტის“ სომეხი ეროვნების დეპუტატები არიან.

რამდენიმე დღის წინ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ვიცე-სპიკერი აფხაზეთის ე.წ. გმირი ვაგარშაკ კოსიანი, ე.წ. მეორე მოწვევის პარლამენტის „დეპუტატი“ **გალუსტ ტრაპიზონიანი, ე.წ. ლეონის ორდენის კავალერი კარაპეტ კარაგოზიანი და აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის ყოფილი წევრი ვალერი მაირომიანი გამოვიდნენ წინადადებით, დაიწყოს ფართო განხილვა აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენის თაობაზე.**

მათ მიერ გავრცელებულ მიმართვაში ნათქვამია, რომ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ევრაზიული ინტეგრაციის პროცესები დინამიკურად ვითარდება. სომხეთმა საბაჟო კავშირში გაწევრიანებაზე უკვე თანხმობა განაცხადა.

„ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ნაბიჯი არსებით მოგებას მოუტანს როგორც ჩვენ თანამემამულეებს, ასევე საბაჟო კავშირის ყველა წევრ-სახელმწიფოს. მივესალმებით სომხეთის არჩევანს, ვინაიდან ევრაზიული ინტეგრაციის კავკასიური ვექტორის განვითარება ზრდის აფხაზეთის შანსებს ამ სტრუქტურებში სუვერენულ სახელმწიფოდ შევიდეს“, — ნათქვამია მიმართვაში.

მათი თქმით, რკინიგზის აფხაზურ-ქართული მონაკვეთის გახსნა არის ყველაზე მოკლე და იაფი გზა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე კი მოკლედ და კატეგორიულად აცხადებს, რომ აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენაზე საუბარი დაიწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს საქართველოს ინტერესში იქნება.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ თუ რას ითვალისწინებს ჩანაწერი ასოცირების დღის წესრიგში, რომელიც ეხება ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიღმა ვაჭრობის, მოგზაურობისა და ინვესტიციების წახალისების მიზნით ღონისძიებების გატარებას. საგარეო საქმეთა მინისტრი არ აკონკრეტებს თუ რას ნიშნავს ეს და აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობა ახალ მიდგომებს ავითარებს ყველა მიმართულებით.

„ძალიან მალე გაიგებთ იმ ღონისძიებებს, რომელსაც ატარებს საქართველოს მთავრობა ამ მიმართულებით“, — განაცხადა ფანჯიკიძემ, რომელმაც კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენაზე საუბარი არ არის და ამის შესახებ სომხეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ განცხადებაც გააკეთა.

ბექა დანელია

საგზაო ინფრასტრუქტურა

გვექნება მსოფლიო დონის გზები

საქართველოს საავტომობილო გზების ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. **მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ამ სფეროში საკმაოდ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა, ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურა განვითარებული მსოფლიოს სტანდარტებისგან კვლავ საკმაოდ დაცილებულია.**

უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე 2 მილიარდ ლარამდეა დახარჯული. ყოველ წელს საგზაო ინფრასტრუქტურაზე საშუალოდ 500 მილიონ ლარამდე იხარჯება. ამ მხრივ გამონაკლისი იყო 2012 წელი, როდესაც შედარებით ნაკლები — 375 მილიონი დაიხარჯა. 2014 წლისთვის ამ მიმართულებით გამოყოფილია 501 მილიონ 720 ათასი ლარი, საიდანაც ნახევარზე მეტი, 53 პროცენტი, კრედიტია, ხოლო დანარჩენი — საბიუჯეტო ხარჯი.

2014 წლის პირველ 6 თვეში მთელი წლის ბიუჯეტის 42 პროცენტი და 6 თვის გეგმიური ბიუჯეტის 94 პროცენტია ათვისებული. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 63,4 მილიონი ლარით მეტი ღირებულების საგზაო სამუშაოები განხორციელდა.

საგზაო სექტორში წელს პრიორიტეტული მიმართულება ჩქაროსნული გზატკეცილის მშენებლობის პროექტებია. 2014 წლის 6 თვეში მშენებლობა მიმდინარეობდა სულ 131 კმ. საგზაო მონაკვეთზე ქვეყნის როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნაწილში. ექვსი თვის მონაცემებით, ჩქაროსნული გზატკეცილის სამშენებლო პროექტების მთლიანი ბიუჯეტი 40 პროცენტით არის შესრულებული.

ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებარე სამუშაოები უმეტესად დონორების მიერ გამოყოფილი კრედიტით არის დაფინანსებული. მაგალითად, ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზისა და ქუთაისი-სამტრედიის შემოვლითი გზის სამუშაოებს იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო აფინანსებს, ქობულეთი-ჩაქვის შემოვლით გზას - აზიის განვითარების ბანკი, ხოლო რუისი-აგარის მონაკვეთს - მსოფლიო ბანკი.

საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით გახარჯული თანხების პარალელურად, საქართველო გზების ხარისხის საერთაშორისო რეიტინგს იუმჯობესებს. 2013-2014 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის თანახმად, გზების ხარისხის მიხედვით, მსოფლიოს 148 ქვეყნიდან საქართველო მე-60 ადგილზეა. თუ ამ მაჩვენებელს ჩვენს სამეზობლოსა და ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში ჩართული სხვა ქვეყნების მონაცემებს შევადარებთ, აღმოვაჩენთ, რომ საქართველო, თურქეთის გარდა, ყოველ მათგანზე უკეთეს პოზიციაში იმყოფება, რაც, სავარაუდოდ, ბოლო ათწლეულის განმავლობაში საგზაო ინფრასტრუქტურაში განხორციელებული სახელმწიფო ინვესტიციების შედეგია.

იმავე მაჩვენებელში აზერბაიჯანი 74-ე, სომხეთი 82-ე, რუსეთი 136-ე, უკრაინა 144-ე, მოლდოვა 148-ე ადგილზეა. ყველაზე კარგი მდგომარეობა ამ თვალსაზრისით თურქეთს აქვს, რომელიც 44-ე ადგილზეა.

ნინო ევგენიძე,
რადიო „თავისუფლება“

უცხოური ინვესტიციები

ფული ფულთან მიდის!

გაიზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები?

წლის **განვლილ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ზოგიერთი საგეგმო პარამეტრის, კერძოდ, უცხოური გრანტებისა და კრედიტების მნიშვნელოვან (შესაბამისად, 46,5 და 34,7-პროცენტიან) დანაკლისზე და ამის გამომწვევ გარკვეულ მიზეზებზე ამ ცოტა ხნის წინათ ვწერდით. მაშინ ისიც აღვნიშნეთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტით დასახული ეკონომიკური განვითარების ზრდის 6-პროცენტიანი ნიშნულის მისაღწევად, წლის დარჩენილი თვეებში, მთავრობას დიდი ძალისხმევა დასჭირებოდა, დასახული მიზნის შესრულებისთვის გარკვეულ პოზიტიურ გარემოებად იქნებ პირდაპირ უცხოური ინვესტიციების მატება გამოდგეს, რაც წლის დასაწყისში გვქონდა.**

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, წლის პირველ კვარტალში, საქართველოში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 260 მილიონი დოლარი შეადგინა. ეს ციფრი, თავისთავად, დიდი არ არის, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ეს მაჩვენებელი დაახლოებით 15 პროცენტით მეტია.

საქართველოს ეკონომიკის ყველაზე დიდ ინვესტორთა სიას სათავეში ნიდერლანდი უდგას, მეორე და მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი და გაერთიანებული სამეფო არიან. აღნიშნულ პერიოდში ნიდერლანდელმა ინვესტორებმა საქართველოს ეკონომიკაში 73 მილიონი დოლარის პირდაპირი ინვესტიცია განახორციელეს, რაც მთლიანი მოცულობის დაახლოებით 28 პროცენტია. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ნიდერლანდის სამეფო საქართველოს უცხოელ ინვესტორთა შორის პირველობას რამდენიმე წელია ინარჩუნებს. პირდაპირ კაპიტალდაბანდებათა მხრივ 18

პროცენტით მეორე ადგილზე აზერბაიჯანია, საიდანაც ქვეყანაში 47 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, გართიანებული სამეფო კი, 35 მილიონი დოლარით (13 პროცენტი) მესამე ადგილზეა.

ისევე, როგორც წინა წლებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთავარი ნაკადები ეროვნული ეკონომიკის მოწინავე დარგში, საფინანსო სექტორში მიემართება, რომლის 34-პროცენტიანი წილი 89 მილიონ დოლარს შეადგენს.

ზემოთ მოყვანილ მონაცემთა უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის, ინტერესომკლებული არ უნდა იყოს აღნიშნულ პერიოდში აზერბაიჯანსა და სომხეთში ანალოგიური მაჩვენებლების მოყვანა. ამ მხრივ უდავო ლიდერია აზერბაიჯანი, სადაც ამ მაჩვენებელმა 1,9 მილიარდი, ხოლო სომხეთში — 488,5 მილიონი დოლარი შეადგინა. აზერბაიჯანში უცხოური ინვესტიციების ლომის წილი — 1,6 მილიარდი დოლარი (84 პროცენტი) ნავთობისა და გაზის სექტორში მიიმართა, სომხეთში კი 488,5 მილიონი დოლარის შემოდინებას ექსპერტები ქვეყნის საბაჟო კავშირში გაწევრების მოსამზადებელ ეტაპს და ამასთან დაკავშირებით რუსეთული კაპიტალის გააქტიურებას უკავშირებენ. ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ საქართველოს დარად, სომხეთშიც უცხოეთიდან კერძო ფულადი გზავნილების მოცულობამ დიდად გადააჭარბა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონეს და უკვე თავადვე შეიძინა საინვესტიციო ფუნქცია, რაც ეკონომიკისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

ბოლოს აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქსტატის ჯერჯერობით გამოქვეყნებული პირველი კვარტლის წინასწარი მონაცემები, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება სურათს სრულად ვერ ასახავს. ამ მხრივ აუცილებლად გასათვალისწინებელი იქნება ნახევარი წლის შედეგები, თუმცა, წინასწარი მონაცემები რამდენიმე კვირაში გახდება ცნობილი.

ოთარ ტურაბელიძე

◎ საკვების უსაფრთხოება

შენ ფული და მე – სენი?

ვინ აკეთებს ეკონომიას მომხმარებლის ჯანმრთელობის ხარჯზე

ზაფხულის სიცხეებთან ერთად საკვების უსაფრთხოების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია. ვითარებას ართულებს მაღაზიებში შენახვის არასათანადო პირობები. უკვე არაერთი მომხმარებელი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ მარკეტში ღამით მაცივრებს თიშავენ და დილით პროდუქცია გამლღვალი ან დარბილებულია. როგორც ჩანს, ასეთი მაღაზიის მეპატრონეები საკუთარ ბიზნესში ეკონომიას მომხმარებლების ჯანმრთელობის ხარჯზე აკეთებენ. სპეციალისტები ამბობენ, რომ აუცილებელია, ბიზნესოპერატორმა დაიცვას ყველა სახის პროდუქციის შენახვის ტემპერატურული რეჟიმი, წინააღმდეგ შემთხვევაში პროდუქციის შენახვის ვადა აღარ მოქმედებს და ასეთი პროდუქტის საკვებად გამოყენება სახიფათოა. ჰიგიენური ნორმების და ტემპერატურული რეჟიმის დაცვა, როგორც მაღაზიაში, ასევე სადისტრიბუციო მანქანებით პროდუქციის ტრანსპორტირებისას აუცილებელია.

პროგრამა „მომხმარებელი.ჯის“ ხელმძღვანელი ლია თოდუა ამბობს, რომ პროდუქციის შენახვის პირობების დარღვევის გამო მათ მოქალაქეები ხშირად მიმართავენ. იგი მომხმარებელს ურჩევს, არ შეიძინონ პროდუქცია ისეთ მაღაზიაში, სადაც ეჭვობენ, რომ ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით მაცივრებს გარკვეული დროით თიშავენ.

„მომხმარებლები ძალიან ხშირად ამბობენ, რომ მაცივრები არის გამორთული. დილაობით დახლ-მაცივრიდან პროდუქტის ამოღებისას მეც შემინიშნავს, რომ არ არის დაცული შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმი. ეს ფაქტობრივად ნიშნავს, რომ პროდუქტზე მითითებული შენახვის ვადა აღარ მოქმედებს. როგორც კი ტემპერატურული რეჟიმი ირღვევა, პროდუქტი იწყებს გაფუჭებას და რამდენიმე დღეში ფუჭდება, შეიძლება პირველივე ღამესაც გაფუჭდეს. თუ მაღაზიაში მაცივარი პერიოდულად გამორთულია ან არ იცავენ ტემპერატურულ რეჟიმს, ეს ნიშნავს, რომ იქ პროდუქტის შესყიდვა უსაფრთხო არ არის იმ ვადამდეც კი, რომელიც მას აწერია. ჩვენ ვეუბნებით მომხმარებელს, რომ მოერიდონ ასეთ მაღაზიებში საკვების შეძენას“, — ამბობს ლია თოდუა.

მისი თქმით, აუცილებელია, სავალდებულო გახდეს თერმომეტრების დამონტაჟება მაღაზიებში არსებულ მაცივრებში. **„ადრე მოქმედებდა ასეთი ნორმა, რომ სავალდებულო იყო თერმომეტრის დამონტაჟება მაცივარში. მაგალითად, პროდუქტს თუ აწერია, რომ უნდა შევინახოთ - 18 გრადუსზე, - 15-ზე ზემოთ არ უნდა ავიდეს მისი შენახვის ტემპერატურა. მნიშვნელოვანია, რომ სავალდებულო იყოს თერმომეტრის დამონტაჟება მაცივრებში, რომ მომხმარებელი ხედავდეს რა ტემპერატურაზეა შენახული პროდუქცია. მაღაზიაშიც არ უნდა იყოს სიცხე. ამ მხრივ სადღეღამისო მაღაზიები უფრო სანდოა, რადგან ისინი ღამითაც არ თიშავენ მაცივრებს,“** — აცხადებს თოდუა.

შენახვის პირობების დარღვევისა და მაცივრების გამორთვის პრობლემის არსებობას ადასტურებენ სურსათის ეროვნულ სააგენტოშიც. როგორც სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის ხელმძღვანელი კახა სოხაძე ამბობს, სააგენტო მაღაზიებს ყოველდღიურად აკონტროლებს და ასეთი დარღვევები ძირითადად მცირე მარკეტებშია.

„ეს პრობლემა ჩვენთვის ცნობილია. ამ კუთხით კონკრეტულ ზომებს ვატარებთ. ჩვენ ყოველდღიურ კონტროლს ვახორციელებთ. ასეთი შემთხვევები არც ისე იშვიათია. ელექტროენერგიის ეკონომიის მიზნით მაღაზიებს ღამის საათებში მაცივრები გამორთული აქვთ, რაც კატეგორიულად დაუშვებელია. სურსათი, რომლის შენახვასაც განსაკუთრებული ტემპერატურული რეჟიმის დაცვა სჭირდება, მათ შორის გაყინული სურსათი, გალღვობისა და ხელმეორედ გაყინვა-გაციების შემდეგ, შესაძლოა, საფრთხის შემცველი იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ეტიკეტზე უნდა იყოს მითითებული, რა ვადები და შენახვის პირობები უნდა იყოს დაცული პროდუქტის შენახვისას, რათა სურსათი შესაბამისი სახით, უვნებლად უნდა მიეწოდებოდეს მომხმარებელს. ეტიკეტზე მითითებული პირობები აუცილებლად უნდა იყოს დაცული“, — ამბობს სოხაძე.

რაც შეეხება საჯარიმო სანქციებს, მისი თქმით, ტემპერატურული რეჟიმის დარღვევის აღმოჩენის პირველ შემთხვევაში ბიზნესოპერატორს სააგენტო რეკომენდაციებს აძლევს, განმეორებით შემთხვევაში კი მოქმედებს გარკვეული საჯარიმო სანქციები. **„თუ სურსათის მავნეობა არ დასტურდება, მაგრამ ტემპერატურული რეჟიმები ირღვევა, ასეთ შემთხვევაში რეკომენდაცია ეძლევა ბიზნესოპერატორს, თუ გადამოწმების შემდეგ ასეთი დარღვევა დაფიქსირდა, ბიზნესოპერატორი ჯარიმდება 400 ლარით პირველ შემთხვევაში, მეორე შემთხვევაში კი 1200 ლარით. თუ სურსათის მავნე თვისებები დადასტურდა, მაშინ ასეთი სურსათი ექვემდებარება რეალიზაციიდან ამოღებას და ბიზნესოპერატორი 1000 ლარით ჯარიმდება. ასეთი დარღვევები ძირითადად არის მცირე მარკეტებში, ქსელური სუპერმარკეტები აღჭურვილი არიან კარგი დანადგარებით და ისინი შესაბამის კონტროლს უფრო მაღალ დონეზე ახორციელებენ“,** — ამბობს სოხაძე.

მსხვილი სუპერმარკეტების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ისინი შენახვის პირობებს ზედმიწევნით იცავენ, როგორც პროდუქციის ტრანსპორტირების, ასევე რეალიზაციის დროს.

მაგალითად, „ნიკორას“ სუპერმარკეტებში , საწყობში და დახლებზე პროდუქციის შენახვის პირობებს, ტემპერატურულ რეჟიმს და ვადებს ყოველდღიურად აკონტროლებს პერსონალი, კომპანიის ხარისხის მართვის სამსახური კი რეგულარულ შემოწმებას ახორციელებს.

„ზოგიერთი პროდუქტის შენახვის ტემპერატურული რეჟიმი კრძალავს მის მოთავსებას როგორც საყინულეში, ასევე მაცივარში. მსგავსი პროდუქტებისთვის „ნიკორას“ სუპერმარკეტებში სპეციალური პირობებია შექმნილი — კერძოდ, თითოეულ სავაჭრო ობიექტში ტემპერატურა მერყეობს 20-დან 23 გრადუსამდე, რაც ისეთი ტიპის პროდუქტებს, როგორებიცაა: ზეთი, კონსერვები, შოკოლადი, ბურღულეული — შესაბამის შენახვის პირობებს უქმნის. დახლმაცივარში უნდა მოთავსდეს ისეთი პროდუქტი, რომელსაც ინდივიდუალური შეფუთვა არა აქვს. მაგალითად, ხორცპროდუქტები, სალათები და სხვა. ასეთ შემთხვევაში, პროდუქტი დახურულ სივრცეშია განთავსებული, მას მომხმარებელი ხელით ვერ ეხება და დაცულია დაბინძურებისაგან. რაც შეეხება ე.წ. კედლის მაცივრებს, აქ თავსდება ინდივიდუალურად შეფუთული პროდუქცია — რძის პროდუქტები, ალკოჰოლური სასმელები, წვენები და ა.შ.“ — ამბობს „ნიკორას“ ხარისხის მართვის მენეჯერი ნინო ლეფსაია.

რაც შეეხება ტრანსპორტირებისას შესაბამისი პირობების დაცვას, ნინო ლეფსაია ამბობს, რომ „ნიკორას“ ჰოლდინგში შემავალი ბრენდების წარმოებული პროდუქცია სპეციალური მაცივრიანი სადისტრიბუციო მანქანებით გადააქვთ, რომლებშიც მაქსიმალურადაა დაცული კონკრეტული პროდუქტის უსაფრთხოდ გადატანისათვის აუცილებელი ტემპერატურული რეჟიმი და ტენიანობის პირობები.

„სადისტრიბუციო მანქანებში მკაცრად კონტროლდება ჰიგიენის ნორმები — ყოველდღიური დასუფთავების პარალელურად, ტრანსპორტს წესისამებრ, კვირაში ერთხელ უტარდება სპეციალური დეზინფექცია. ზემოთ აღნიშნული წესები ეხება ყველა სახის პროდუქტის ტრანსპორტირებას. ნახევარფაბრიკატები, ნაყინი და გაყინული თევზეული სპეციალური საყინულე მანქანებით გადაგვაქვს. რაც შეეხება ცოცხალ პროდუქტს — ცოცხალი თევზი „ნიკორას“ შვილობილ „ოკეანეს“ ავზიანი მანქანებით გადააქვს. ავზში დაცულია თევზის უსაფრთხო გადაადგილებისთვის აუცილებელი ტემპერატურული რეჟიმი და ჟანგბადის დონე. ავზს ამ შემთხვევაშიც რეგულარულად უტარდება დეზინფექცია/დასუფთავების სამუშაოები“, — ამბობს ლეფსაია.

BPN-ი ამ თემასთან დაკავშირებით მცირე, ე.წ. უბნის მაღაზიების წარმომადგენლებსაც დაუკავშირდა, თუმცა, მათ ამ საკითხზე საუბარი არ ისურვეს.

ნათია ლეშკაშელი

◎ გულის ბუხარი

ეგოიზმი

ანუ მარტო საკუთარ თავზე არ უნდა ვფიქრობდეთ!

ამ დღეებში **რედაქციას რუსთავში მცხოვრები აზერბაიჯანელი ქალიშვილი, საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის კურსდამთავრებული ფატიმა სამედოვა გვეწვია და თავისი პირველი ჟურნალისტური ჩანაწერები გვაახლა.**

„მრავლისმომსწრე პაპის მიერ დანახული დღევანდელობის პრობლემები“ — პირობითად ასე შეიძლება დავარქვათ ერთ-ერთ ჩანაწერს. ის იმდენად გულწრფელი და სამართლიანია, გადავწყვიტეთ ტექსტი უცვლელად შემოგთავაზოთ.

...პაპაჩემი 79 წლის თემურ თანირვერდიევი ძველი ყაიდის კაცია. იგი შეშფოთებულია არა მხოლოდ რუსთავის, არამედ საქართველოს და მსოფლიოს ასეთი ცვლილებებით, ამბობს რომ მისი ახალგაზრდობის დროს ყველაფერი სულ სხვაგვარად იყო. არ ვიყავით ასე გაჭირვებულები, გულგრილნი, გათითოკაცებული. ეგეც რომ არა, ზრდილობა, ერთმანეთის პატივისცემა, ურთიერთგაგება სუფევდა ადამიანებს შორის. დღეს კი... სადღაა ეს ყველაფერი...

თითქოს ცხოვრება გაუფასურდა, ადამიანებმა აღარც ზრდილობა ვიცით, აღარც უმცროს-უფროსობა, აღარც ურთიერთპატივისცემა, საერთოდ გადავჯიშდით, ერთმანეთს ფულის გამო ვხოცავთ. ასე გვგონია, რომ დედამიწა ჩვენი კუჭის გარშემო ბრუნავს.

მწარედ ვცდებით როდესაც ამდენს ვფიქრობთ საკუთარ თავზე, ეგოიზმია ეს, მეტი არაფერი.

მაინც რამდენი საშინელება ხდება ჩვენს ქვეყანაში. ამდენი სიბილწე, გარყვნილება არასოდეს მსმენია, ყველაფერი გაუფასურდა, სარწმუნოებას და უძველეს ადათ-წესებს ყორნებს ვაჯიჯგნინებთ და თავი მამა აბრამის ბატკანი გვგონია, საკუთარ მიწას ვყიდით და ეს ბიუჯეტის შესავსები ინვესტიცია გვგონია, ადამიანის ყველაზე დიდი სიწმინდე სარწმუნოება და მშობლიური მიწა-წყალია, და როცა ამათ ჰყიდი, სწორედ მაშინ დაბლდები და არარაობა ხდები...

პაპაჩემს იცით კიდევ რა აღიზიანებს? — დაბინძურებული გარემო. ის ვინც ქუჩაში ნაგავს ყრის, თვითონვეა სანაგვეზე გადაგდების ღირსი, რადგან უფლისგან ნაბოძებ ჯანმრთელობას, ჩვენი შვილების ჯანსაღ გარემოს ხელჰყოფს — ამბობს პაპაჩემი და დასძენს: განუვითარებელი ინფრასტრუქტურაც გვაწუხებს, მაგრამ, ეგ არაფერი, როგორც იტყვიან, ეს მოგვარებადი საქმეა, ქვეყანაში ბევრად უარესი პრობლემებიც გვაქვს. მაშინ როცა ჩვენ ათასგვარ უაზრო ნივთს ვიძენთ და არც კი ვიცით რაში შეიძლება გამოვიყენოთ ის, როცა უთავბოლოდ ვქეიფობთ და ხარბად შევექცევით სასმელს და საჭმელს, ან საერთოდ ვიღაცის კაპრიზის გამო ნარჩენ პროდუქტს ნაგავში ვყრით, ამ დროს კი ვიღაცას შეიძლება ძალიან უჭირდეს, ვიღაცა შეიძლება ზამთრის ცივ ღამეს, თვალზე ცრემლმიყინული, მშიერი ქალდის ყუთში იძინებდეს... განა ეს მოსათმენია? მთელი ჩემი ახალგაზრდობა ისე გავლიე, რომ ამ პრობლემებზე იშვიათად თუ მიფიქრია, თუმცა, ახლა, 79 წლის ასაკში ვგრძნობ, ვხვდები, თუ რამხელა შეცდომას ვუშვებდი, როცა გაჭირვებული ადამიანების მიმართ უყურადღებობას ვიჩენდი...

ახლა კი ვცდილობ, ჩემს შვილებს და შვილიშვილებს შთავაგონო, რომ მთავარზე მთავარი ის კი არ არის, რა გაცვია, როგორ მდიდრულად ცხოვრობ, არამედ ის თუ რა შეგიძლია გააკეთო უმწეოთათვის, გაჭირვებულთათვის... მიეცი გაჭირვებულს და ღმერთი შენ მოგცემს!..

ჩემი ყოველი სიტყვა გულიდან მოდის და დავწერე ის, რასაც ნამდვილად ვფიქრობ, მართალია ქართველი არ ვარ, მაგრამ, საქართველოს ძირძველი მოქალაქე ვარ, რუსთავში ვცხოვრობ და მეც ისევე მტკივა გული აქაურობაზე, როგორც თითოეულ ქართველს...

ჩაიწერა
ფატიმა სამედოვამ.
რუსთავი

◎ ალიან-ჩალიანი

დაკითხავენ კახუჩელას?

მომღერალი **კახა ცისკარიძე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაიბარეს. ამის შესახებ თავად მომღერალმა განაცხადა.**

— წარმოდგენა არ მაქვს კონკრეტულად რაზეა საუბარი. თუმცა ვიცი, რომ საუბარია კომპანიასთან დაკავშირებით და როცა დამირეკეს, მითხრეს, რომ კომპანიას დავალიანება აქვს, — განაცადა ცისკარიძემ.

კახა ცისკარიძის თქმით, მისი კუთვნილი კომპანიაა შპს „არტ ფორუმი“, რომელსაც უამრავი ხელოვანისთვის ძალიან ბევრი რამ გაუკეთებია.

ინტერპრესი

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტი

პროექტის №: P117152

დავალების სახელწოდება: კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში კახეთის რეგიონში მოძრაობის უსაფრთხოების საჭიროებისა და შემეცნების კამპანია

კონტრაქტი/**RFP** № KRRIP/CS/CQS-04
საიდენტიფიკაციო №: KRRIP PP, პუნქტი №16

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხელნებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს არასამთავრობო ორგანიზციებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **კახეთის რეგიონში მოძრაობის უსაფრთხოების საჭიროებისა და შემეცნების კამპანია.**

დაინტერესებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა (კონსულტანტებმა) უნდა წარმოადგინონ მომსახურების გასაწევად საჭირო კვალიფიკაციისა და შესაბამისი გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. მოკლე სიაში გასასვლელად საჭიროა შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

- მსგავსი გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში;
- ზოგადი გამოცდილება საგზაო უსაფრთხოების აქტივობებში;
- საქართველოში, საგზაო უსაფრთხოების საკითხებზე ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრების და/ან საჯარო კონსულტაციების ჩატარების გამოცდილება;
- საქართველოში საგზაო უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარების და ამისთვის მედიის (მაგ. ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი, გაზეთები, ბილბორდები) გამოყენების დიდი გამოცდილება;
- საქართველოში საგზაო უსაფრთხოების შესახებ ახალგაზრდებისა და ბანშვებისთვის საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარების დიდი გამოცდილება;
- უნდა იყოს რეგისტრირებული და მუშაობდეს როგორც ადგილობრივი არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია;
- უნდა ქონდეს ოფისი, ჰყავდეს თანამშრომლები და აღმასრულებელი კომიტეტი და აღმასრულებელი დირექტორი ადგილობრივი რეზიდენტი;

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – ’მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]” (2011 წლის იანვრის გამოცემა, “კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები”) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთაინდნენ სხვა ფირმებთან ერთობლივი საწარმოს ან ქვე-კონსულტანტის სახით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება “კონსულტანტის სახელმძღვანელო პრინციპებში” მოცემული კონსულტანტების კვალიფიკაციის მიხედვით შერჩევის მეთოდის თანახმად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 09:00-დან 17:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არაუგვიანეს **2014 წლის 31 ივლისის 17:00 საათისა.**

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995 322 37-05-08 დამ. 218
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Kakheti Regional Roads Improvement Project (KRRIP)

Project No. P117152

Assignment Title: Awareness and education campaigns on road safety in Kakheti Region under Kakheti Regional Roads Improvement Project (KRRIP)

Contract/RFP No: KRRIP/CS/CQS-04
Reference No. KRRIP PP, Item No.16

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Kakheti Regional Roads Improvement Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites Non-Governmental Organizations (NGOs) to express their interest in providing the following services: **“Awareness and education campaigns on road safety in Kakheti Region under Kakheti Regional Roads Improvement Project”.**

Interested NGOs (Consultants) should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services. The shortlisting criteria are:

- Similar experience within the last 5 years;
- General experience in Road Safety Activities;
- Experience in carrying out focus group meetings and/or public consultations on road safety issues in Georgia;
- Extensive experience in carrying out road safety awareness campaigns, employing various means of media, e.g., TV, radio, billboards, newspapers, internet in Georgia;
- Sound experience in carrying out road safety education campaigns with adults and children in Georgia;
- Registered and operated as a local non-governmental and non-profit organization;
- Having office, staff and executive committee and CEO a local resident;

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank’s *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 (“Consultant Guidelines”), setting forth the World Bank’s policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm’s consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may associate with other firms in the form of a joint venture or a sub-consultancy to enhance their qualifications. Please note that a form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Information on project related experience and assignments conducted should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on w on the following link:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A Consultant will be selected in accordance with the Selection Based on the Consultants’ Qualification (CQS) method set out in the Consultant’s Guidelines.

Further information can be obtained at the address below during office hours from 09:00 to 17:00.

Expressions of interest must be delivered in a written form to the address below (in person, or by mail, or by fax, or by e-mail) by **July 31, 2014, 17:00 hours**.

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Department of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge



მოდით, სულ ცოტა ხნით გადავინაცვლოთ საბჭოთა საქართველოში. „ჩვენს დიად ქვეყანაში მიტროფანე ლაღიძემ პირველმა შეიმუშავა ხილის ნატურალური წვენებით უალკოჰოლო სასმელების დამზადების ტექნოლოგია. აქ მნიშვნელოვანი და საყურადღებო ის არის, რომ მისი რეცეპტით დამზადებულმა ხილეულის წყლებმა ბევრი ჩვენი ახალგაზრდა გადააჩვია ალკოჰოლიანი სასმელების უზომო მიღებას. ამიტომაა, რომ წლის რომელი თვეც უნდა იყოს — გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა თუ სუსხიანი ზამთარი — მუდამ ხალხით სავსეა რუსთაველის პროსპექტზე მდებარე დარბაზი, სადაც იყიდება მიტროფანე ლაღიძის სახელით ცნობილი ხილეულის წყლების ტკბილი სასმელები. ამ ლამაზად გაფორმებული დარბაზისკენ ყველას მიეჩქარება, ყველა მიისწრაფვის — მოხუცი თუ ახალგაზრდა, მუშა და ინჟინერი, მწერალი თუ მსახიობი.

კარგად წერდა ამ რამდენიმე წლის წინათ იუმორისტული ჟურნალი „ტარტაროზი“.

უკვე დაიწყო სიცხე, დგება ბუღი და ალი.

რა გვეშველება, თუ კი არ ვსვით „ლაღიძის წყალი“.

(ალექსანდრე სიგუა. „მიტროფანე ლაღიძე“. 1980 წ).

ალბათ, მოგენატრათ ის დრო, მოგეძალათ გარდასულ დღეთა ნოსტალგია, არა?!

ახლა კი გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ჩავწერეთ მიტროფანე ლაღიძის შთამომავალთან, ს.ს. „ლაღიძის“ გენერალურ დირექტორთან **თორნიკე ლაღიძესთან.**

რა გვეშველება, თუ კი არ ვსვით ლაღიძის წყალი?

რუსებმა გაიგეს ამ წყლის ფასი და ჩვენ რაღა გვემართება?!

— ბატონო თორნიკე, სოციალური ქსელით ვრცელდება ინფორმაცია, რომ რუსთაველის გამზირზე, ძველ ადგილას, „ლაღიძის წყლები“ გაიხსნება, თუმცა, ამის ინიციატორი თქვენ არა ხართ. იქნებ დეტალურად გაგვაცნოთ საქმის არსი?

— დიახ. ჩვენ არაფერ შუაში ვართ. მინდა, განახოთ წერილი, რომელიც მივიღე „გუდფუდის“ დირექტორ ვახტანგ ათაბეგაშვილისგან, რომელსაც პირადად არც ვიცნობ. ის ასეთ რამეს მწერს: **„ჩვენმა კომპანიამ იჯარით აიღო თბილისში, რუსთაველის გამზირის 24-ში მდებარე სარდაფის ფართი. ჩვენ გადავწყვიტეთ, აღგვედგინა თბილისისათვის ისტორიულად მნიშვნელოვანი კაფე. იჯარის გაფორმებამდე ვესტუმრეთ თქვენს ქარხანას თქვენი სიროფების შესყიდვის თხოვნით, რაზეც მივიღეთ სიტყვიერი თანხმობა. ამის შესახებ ინტერნეტის საშუალებით ეცნობა ქალაქის საზოგადოებას. რამდენიმე ათასი ადამიანი ელოდება „ლაღიძის წყლის“ აღდგენას.**

4 ივლისს მე ინტერნეტის საშუალებით დამიკავშირდა ქალბატონი თიკო ლაღიძე, რომელმაც მაცნობა, რომ თქვენი კომპანია უარს აცხადებს, მოგვყიდოს ლაღიძის წყალი (სიროფი). აღნიშნულმა ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაგდო, ვინაიდან სარემონტო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება და დახარჯულია სოლიდური ფინანსური და მატერიალური სახსრები...“

— მართლა უარს აცხადებთ?

— დიახ...

— და რატომ?

— კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, გაიხსნას მარტო სარდაფი. ეს სარდაფი რომ აღდგეს, თითზე დაიხვევს სახელმწიფო, და იტყვიან, აი, ხომ აღვადგინეთ „ლაღიძის წყლებიო“. აი, ეს არ გვინდა მოხდეს, თანაც არ ვიცნობ ამ პიროვნებას, მასთან არანაირი შეთანხმება არ მქონია...

— ბატონო თორნიკე, მკითხველს უფრო დაწვრილებით შევახსენოთ „ლაღიძის წყლების“ ისტორია და ის ქარტეხილები, რაც გასული საუკუნის მიწურულსა და ახალ საუკუნეში გამოიარეთ.

— მიტროფანე ლაღიძე 18 წლის ყმაწვილი იყო, როცა ლიმონათის ეს იშვიათი რეცეპტი შექმნა. მას წელს 145 წელი შეუსრულდებოდა. იგი მუშაობდა პოლონელ ივანოვსკის აფთიაქში ქუთაისში, რომელსაც ასევე ჰქონდა ლიმონათის ქარხანა. „უდიპლომო“ მიტროფანემ პირველმა გადაჭრა უალკოჰოლო სასმელების დასამზადებლად ნატურალური წვენების გამოყენების საკითხი. 1900 წელს, ჯერ ქუთაისში, შემდეგ, 1906 წელს, თბილისში გახსნა ლიმონათის ქარხანა, აკაკი წერეთლის რჩევითა და ილია ჭავჭავაძის დახმარებით. წყლების გასაყიდად გოლოვინზე, ანუ ახლანდელ რუსთაველის გამზირზე მოაწყო მაღაზია. სხვათა შორის, მან წყლების ფირმის ქართული წარწერა ზემოთ გააკეთა, ხოლო რუსული ქვემოთ, რაც მეფის მთავრობის დროს აკრძალული იყო. თუმცა, მისი მაღაზია არ იყო სარდაფში. სარდაფს იყენებდა სარდაფად. ეს მოგვიანებით, კლიენტთა სიმრავლის გამო გაიხსნა ქვემოთ დარბაზი, თორემ, მას ჩვეულებრივად პირველ სართულზე ჰქონდა მაღაზია. დღეს აპირებენ, რომ გახსნან მხოლოდ სარდაფი და თქვან, რომ გაიხსნა „ლაღიძის წყლები“, რასაც კატეგორიულად ვეწინააღმდეგები... თუკი გაიხსნება, უნდა გაიხსნას სრულყოფილად.

— მაგრამ პირველ სართულზე დღეს იქ მაღაზია „ნექსთი“ მუშაობს, არა?

— დიახ.

— ბატონო თორნიკე, არათუ რუსთაველზე, სხვაგანაც ვხედავთ წარწერებს „ლაღიძის წყლები“, ისინი ვისია, და ხომ არ ატყუებენ მომხმარებელს?

— ჩვენი საკუთრება არც ერთი არ არის, მაგრამ ჩვენი ქარხნიდან ხელშეკრულებით ვაძლევთ სიროფს. თანაც ვამოწმებთ ყველა ობიექტს, რათა ფალსიფიკაცია არ მოხდეს.

— მხოლოდ იმ მოტივით ეუბნებით უარს ათაბეგაშვილს, რომ სარდაფში უნდა „ლაღიძის“ გახსნა?

— რა თქმა უნდა. სარდაფი არ იყო მხოლოდ „ლაღიძე“, თუ მისი პირვანდელი სახით აღდგენა უნდათ, მაშინ, კეთილი ინებონ, და დაუბრუნონ მას პირველადი ხიბლი, ზედა დარბაზთან ერთად.

მიმოხილეთ ყველანი
900
ლაღიძის
ბაღანა
ბაღანა
ბაღანა

◎ ჭიდაობა

სტარტიც ასეთი უნდა

ორი ოქრო და ერთი ბრინჯაო — ასეთი მაჩვენებლებით დაამთავრეს სლოვაკურ სნინაში დაწყებული ჭაბუკ ფალავანთა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი დღე საქართველოს წარმომადგენლებმა. ხალიჩაზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები ეცილებოდნენ ერთმანეთს საპრიზო ადგილებს. ჩვენებურთაგან მძიმეწონასანმა ზვიად პატარიძემ შეინარჩუნა შარშან მოპოვებული ჩემპიონობა. მას მხარი აუბა ჯონი ხეცურიანმა (50), ხოლო ევროპის პირველობის წლევანდელი გამარჯვებული ნიკოლოზ ჭიკაიძე (63) ბრინჯაოს დასჯერდა.

ხობელი ხეცურიანი, როგორც უმჩატესი წონის წარმომადგენელი, შეჯიბრებაში მეორე წრიდან ჩაება — ორი ოთხქულიანი გდებით დაამარცხა უნგრელი ტომაშ ლევაი, მერე ნორვეგიელთა მომავალ მესამე პრიზიორ ჰავარდ იორგენსენს მოუგო, ნახევარფინალში ინდოელ ვიჯაი ვიჯაისაც სუფთად აჯობა და ფინალში ირანელ აგანიაჩარ მოჰამადრეზას დაუპირისპირდა. ორთაბრძოლა დაძაბული აღმოჩნდა. მართალია, თავიდან ხეცურიანი დაწინაურდა, მაგრამ აზიელმა შეძლო წონასწორობის აღდგენა — 7:7. ბოლო წამებზე ქართველმა მოჭიდავემ იყოჩაღა და ქულა აართვა მეტოქეს, რამაც გამარჯვება მოუტანა.

ჭიკაიძემ პირველ წრეში ესტონელ ოტ საარს სძლია — 3:0, მერე ანდრეი კურორჩკინს (გერმანია) მოუგო 2:1, მესამე შეხვედრაში ამერიკელი დომინიკ დემა ჩამოიშორა (16:5) გზიდან. ეტყობა, ამ გამარჯვებას დიდი ენერგია შეალია, რადგან ნახევარფინალში ასე ყოჩაღად ველარ გამოიყურებოდა და ფინელ მატიას ლიპასტისთან დამარცხდა, თუმცა მესამე ადგილისთვის ბრძოლაში რუსი ლომ-ალი ადიევი ბეჭებით გააკრა ხალიჩას.

ზვიად პატარიძემ, როგორც ვთქვით, შარშან მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა. წლეულს მან ევროპის პირველობაც მოიგო. სნინაშიც იოლად მიაღწია წარმატებას — სერიოზული წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია. პირველ წრეში ბრაზილიელი რაფაელ ფილოს დასამარცხებლად ოციოდე წამი ეყო, მეორე წრეში ყირგიზი რომან კიმი დაჯაბნა — 8:0, ნახევარფინალში ბულგარელი რადოსლავ გეორგიევი დაადგო ბეჭებზე, გადამწყვეტ პაექრობაში კი აზერბაიჯანელი გავიდ ფეიზიევი 7:0 დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ლეძსო ციცაძე

◎ წყალბურთი

ელინეზთანაც დამარცხდნენ

საქართველო — საბერძნეთი 6:15 (1:4, 1:6, 3:3, 1:2)

საქართველო. ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა ქავთარაძე, დამირ ცრეპულია (1), მარკო ელეზი (1), ალექსანდრე რუსიშვილი, მარკო ელაჩა, გიორგი ხვედელიანი (1), მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა (1), ტატო გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, მარინო ფრანიჩევიჩი (2), ბექა კაპანაძე; მწვრთნელები — იოვან პოპოვიჩი, ვლადიმერ ისელიძე.

საბერძნეთი. კონსტანტინოს ცალკანისი, ემანუილ მილონაკისი (2), გიორგიოს დერვისისი, დიმიტრიოს ტიკასი, იოანის ფუნტულისი (6), კირიაკოს პონტიკასი, ხრისტოს აფრუდაკისი, ევანგელოს დელაკასი (2), კონსტანტინოს მურიკისი, ხრისტოდულოს კოლომვოსი (2), ალექსანდროს გუნასი (2), ანგელოს ვლაჩოპულოსი (1), სტეფანოს გალანოპულოსი.

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრები საბერძნეთის გუნდს ოფიციალურ ტურნირებში პირველად 2011 წელს დაუპირისპირდა: მაშინ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ბერძნებმა თბილისში 11:8 აჯობეს მასპინძლებს, შინ განმეორებით მატჩში კი 10 ბურთის სხვაობით (16:6) გაიმარჯვეს. ეს გუნდები ამჯერად ბუდაპეშტში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მეორე ტურში შეხვდნენ ერთმანეთს. 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორებს კონტინენტის პირველობის დებიუტანტებთან პაექრობა არც ახლა გასჭირვებიათ. მესამე წუთის მიწურულს იოანის ფუნტულისმა, რომელმაც ამ მატჩში ექვსი გოლი გაიტანა, პენალტით გახსნა ანგარიში. ერთი წუთის შემდეგ ემანუილ მილონაკისმა ორამდე გაზარდა ანგარიში. ორი პერიოდის განმავლობაში ბერძნები სრულ უპირატესობას ფლობდნენ და პირველი ტაიმი 10:2 მოიგეს. შესვენების შემდეგ ქართველმა წყალბურთელებმა უკეთ ითამაშეს: მესამე რვაწუთიანი მონაკვეთი ფრედ დაასრულეს — 3:3, ბოლო პერიოდი მინიმალური ანგარიშით 1:2 დათმეს, საბოლოოდ კი 6:15 დამარცხდნენ.

ჩემპიონატზე გუშინ დასვენების დღე იყო. 17 ივლისს საქართველოს ნაკრები იტალიას შეხვდება. ეს გუნდი კი „ა“ ჯგუფში ყველაზე ტიტულოვანია. აპენინელებს 7 ოლიმპიური (სამი ოქრო, 2 ვერცხლი, 2 ბრინჯაო), 6 მსოფლიოს (3, 2, 1) და 10 ევროპის ჩემპიონატის (3, 2, 5), 6 მსოფლიო თასისა და ერთი მსოფლიო ლიგის მედალი აქვთ მოპოვებული. ბუდაპეშტში იტალიელებმა ორი შეხვედრა მოიგეს: პირველ ტურში რუსებს სძლიეს - 13:6, მეორეში რუმინელები დაჯაბნეს — 9:4. ფავორიტები ჩემპიონატზე ასეთი შემადგენლობით თამაშობენ: სტეფანო ტემპესტი, ფრანჩესკო დი ფულკიო, ალესანდრო ველოტო, პიეტრო ფიგლიოლი, ალექს გერგეტი, ანდრეა ფონდელი, მასიმო ჯიაკოპო, ვალენტინო გალო, ნიკოლო ფიგარი, სტეფანო ლუონჯო, მატეო აიკარდი, ფაბიო ბარალდი, მარკო დელ ლუნგო.

A ჯგუფში ჩერნოგორიამ რუსეთს მოუგო 15:7 აქ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ჩერნოგორია — 6 (26-13), იტალია — 6 (22-10), საბერძნეთი — 3 (21-17), რუმინეთი — 3 (15-15), საქართველო — 0 (12-26), რუსეთი — 0 (13-28).

B ჯგუფი. მე-2 ტური.

გერმანია-სერბეთი 7:12, ხორვატეთი — ესპანეთი 8:8, უნგრეთი-საფრანგეთი 12:7. სატურნირო მდგომარეობა: სერბეთი — 6 (28-12), უნგრეთი-6 (24-16), ხორვატეთი — 4 (18-13), ესპანეთი — 1 (17-20), გერმანია — 0 (12-22), საფრანგეთი — 0 (12-28).

ლაშა დიდია

◎ ოლიმპიზმი

სოკმა ბრაზილიას 1,5 მილიარდი დოლარი გამოუყო

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ბრაზილიას რიო დე ჟანეიროს 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების სათანადოდ ორგანიზებისათვის 1.5 მილიარდი ამერიკული დოლარი გამოუყო. ამის შესახებ განცხადება თომას ბახმა (სოკ-ის პრეზიდენტი) გააკეთა.

„ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის კარგად ორგანიზების გამო შეუძლია ბრაზილიამ იამაყოს. ამ ქვეყნის პრეზიდენტმა, ქალბატონმა დილმა რუსეფმა გამოაცხადა, რომ ახლა ქვეყნის პრიორიტეტი 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მაღალ დონეზე ორგანიზება და კარგად ჩატარებაა. რა თქმა უნდა ეს სიტყვები კარგი მოსასმენია. ამიტომ გადაწყვიტა სოკმა ბრაზილიას 2016 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის 1.5 მილიარდი დოლარი გამოუყოს, რომელიც სპორტის ისტორიაში მნიშვნელოვან კვალს დატოვებს, აცხადებს ბრაზილიელთა თავკაცი ქალბატონი.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

საკითხავია, ვინღა ითამაშებს?

საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრები სლოვენიიდან მაკედონიაში გაემგზავრა, სადაც საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ქალაქ ოჰრიდში საქართველოსთან და მასპინძელთა ნაკრებთან ერთად თავს ავსტრია და რუმინეთი მოიყრიან.

„ჯვაროსნები“ მაკედონიაში 14 კალათბურთელით მიდიან. სამშობლოში რევაზ როგავა და ირაკლი ჩლაიძე ბრუნდებიან. ოჰრიდში გამგზავრების წინ მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა **კოტე ტუღუშმა** განაცხადა.

მაკედონიაში 14 კალათბურთელით მივდივართ. ესენია: ზაზა ფაჩულია, ვიქტორ სანიკიძე, გიორგი ცინცაძე, დუდა სანაძე, ლევან ფაცაცია, ბესიკ ლეჟავა, ოთარ ფხაკაძე, ნიკა მეტრეველი, ბექა წივწივაძე, გიორგი შარაბიძე, აკაკი დვალიშვილი, მიხეილ ბერიშვილი, ლაშა ფარღალავა და მიხეილ ჭოჭუა.

— დანარჩენი მოთამაშეები როდის შემოგიერთდებიან?

— ბექა ბურჯანაძე ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე თამაშობს და სლოვენიაში რომ დავბრუნდებით, 20 ივლისისთვის შემოგვიერთდება. სავარაუდოდ იმ პერიოდისთვის ჩამოვა სლოვენიაში თორნიკე შენგელიაც, რომელიც რამდენიმე დღის წინათ მამა გახდა და თავის ოჯახთანაა. ვსარგებლობ შემთხვევით და ნაკრების სახელით ვულოცავ თორნიკეს ვაჟიშვილის შეძენას. შერმადინს ფეხი აწუხებს და სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს. იგი, სავარაუდოდ, მოგვიანებით შემოგვიერთდება. ცუდი ინფორმაციაა რიკი ჰიმანთან დაკავშირებით. მას ექიმებმა თამაში აუკრძალეს. სეზონის ბოლო პერიოდში იგი ტრავმით თამაშობდა და ახლა სერიოზულ რეაბილიტაციას საჭიროებს. ის შესარჩევი ტურნირის მატჩებში ვერ დაგვეხმარება. ტრავმიანია მანუჩარ მარკოიშვილიც, რომელიც ექიმებთან რეაბილიტაციის კურსს გადის და ნაკრების თამაშებისთვის, სავარაუდოდ, ვერ მოასწრებს მომჯობინებას.

— მაკედონიურ ტურნირზე რას იტყვით?

— ეს არის მოსამზადებელი მატჩები და შედეგს ყურადღებას არ ვაქცევთ. მთავარი მიზანი გუნდის შეთამაშება და 10 აგვისტოსთვის მომზადებაა, როცა თბილისში ჩეხებთან პირველ ოფიციალურ მატჩს გავმართავთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ვითომ?

ბლატერი: წარმატებული ჩემპიონატი იყო

FIFA-ს პრეზიდენტი ზეპ ბლატერი მისი ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული რიგით მე-20 მსოფლიოს ჩემპიონატით კმაყოფილი დარჩა. „მსოფლიოს ჩემპიონატი წარმატებული იყო. სამხრეთ აფრიკაში ჩატარებული მუნდიალის შემდეგ ნაბიჯი წინ გადავდგით. ეს ჩემთვის მე-10 მსოფლიოს ჩემპიონატი იყო, ხოლო პრეზიდენტის რანგში — მე-5. ბრაზილიაში განსაკუთრებული ხარისხის ფეხბურთი და დაძაბული თამაშები ვიხილეთ. 10-ბალიანი სისტემით 9.25 ქულას დავწერდი, რადგან ფეხბურთში სრულყოფილება არ არსებობს.“ — აცხადებს ბლატერი.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

დევენპორტი „დიდების დარბაზში“ შეიყვანეს



ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი, დიდი სლემის ტურნირების სამგზის გამარჯვებული, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ქალთა შორის ლინდსი დევენპორტი ჩოგბურთის „დიდების დარბაზში“ შეიყვანეს.

„5 წლის ვიყავი, როცა მშობლებმა ჩოგბურთზე მიმიყვანეს. ამის შემდეგ ბოლომდე მისი ერთგული დავრჩი. მეამაყება, რომ ჩემი ცხოვრების ოქროს წლები ჩოგბურთს დავუკავშირე“ — განაცხადა დევენპორტმა.

შეგახსენებთ, რომ დევენპორტი თავის საუკეთესო წლებში WTA-ს კლასიფიკაციას 98 კვირის განმავლობაში ედგა სათავეში. მან კარიერაში სულ 55 ტურნირი მოიგო. მათ შორის 3-ჯერ დიდი სლემის ტურნირებზე გაიმარჯვა (1996 -როლან გაროსი, 1997 — აშშ-ის ღია პირველობა, 1999 — უიმბლდონი).

ლინდსი დევენპორტმა სპორტული კარიერა 2010 წელს დაასრულა.

კოზა კოზახიძე

აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
განცხადება

2014 წლის 8 სექტემბერს 12.00 საათზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში, კულტურის სახლის შენობაში, მოეწყობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჰიგიენა 2009“-ს აჭარის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (გზშ-ს) საჯარო განხილვა.

საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს აჭარის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მიღება და განთავსება ნარჩენების პოლიგონზე.

დაინტერესებულ პირებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119, ტელ.: 577 23 22 27.

დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა 2014 წლის 31 აგვისტო, 18 საათი.

◎ ინფორმაცია

ტაძრებს პრობაციონერებიც აღადგენენ

პრობაციის ეროვნული სააგენტოს რეგიონული ბიუროების ორგანიზებით, პირობით მსჯავრდებულებმა ტაძრების მშენებლობა-რესტავრაციასა და მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, ქარელის პრობაციის ბიუროში აღრიცხვაზე მყოფმა რვა პირობით მსჯავრდებულმა და მათმა ოფიცრებმა, ქარელის რაიონ სოფელ ბებნისში ეკლესიის აღდგენით სამუშაოებში თავისი წვლილი შეიტანეს.

ასპინძელმა პირობით მსჯავრდებულებმა მშობლიურ რაიონში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობაში მიიღეს მონაწილეობა.

გურიის პრობაციის ბიუროში აღრიცხვაზე მყოფმა პირობით მსჯავრდებულებმა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის მონასტრის მიმდებარე ტერიტორია სარეველა ბალახებისგან გაწმინდეს.

ანალოგიური ღონისძიება ჩაატარეს თიანეთელმა პრობაციონერებმა სოფელ ჟებოტაში მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ტაძრის ეზოში.

◎ მცირე ენციკლოპედია

უსახლკარო „მარკუს ბრწყინვალე“

ცნობილი გიტარისტი კარლოს სანტანა, რომელიც ამჟამად მსოფლიოს ტურნეს მართავს, თავის ყოფილ დასარტყამ ინსტრუმენტებზე დამკვრელს, ახლა კი უსახლკარო მუსიკოსს შეხვდა.

შეხვედრა ერთი ჟურნალისტის წყალობით შედგა, რომელიც ნაგვის გროვაში მქექავ წვეროსან მოხუცს გამოელაპარაკა. უსახლკარომ ცნობისმიყვარე რეპორტიორს უამბო, რომ თავის დროზე საქვეყნოდ ცნობილ ჯგუფში „სანტანა ბლუზ ბენდში“ უკრავდა და მას „მარკუს ბრწყინვალეს“ ეძახდნენ.

მარგებელი ხილი და ბოსტნეული

იაპონელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ხილისა და ბოსტნეულის მოხმარებას გაღიზიანების დმშვიდება შეუძლია.

ისინი, ვინც ხილისა და ბოსტნეულის რაციონით იკვებებიან, ქრონიკული დაავადებებით სხვებზე იშვიათად სნეულდებიან, რომელთა საფუძველი შესაძლოა, ადამიანის ნერვული ხასიათი იყოს. ამასთან, ბუნებრივი ანტიდეპრესანტების შემცველი პროდუქტი ხელს უწყობს ადამიანის სტრესული მდგომარეობიდან გამოსვლას.

მხიარული ღვინო

აპერიტივი – ეს იმ ნაკლებად მაგარი სასმელების ზოგადი სახელია, რომლის დალევას სუფრის დაწყებამდე გვირჩევენ და რის ტრადიცია ევროპის ქვეყნებში დიდი ხნის ისტორიას ითვლის. მათ რიცხვს შუშხუნა ღვინო შამპანურიც მიეკუთვნება, რომელიც პირის გემოს ამძაფრებს და საჭმლის მომნელებელ სისტემას საკვების მონელებაზე „განაწყობს“. ამ დროს მნიშვნელოვან როლს გაზის ბუშტულები ასრულებენ, რომლებიც გემოს რეცეპტორებს სათანადოდ აღაგზნებენ.

ზოგადად, შუშხუნა ღვინოები ორ ჯგუფად იყოფა: პირველს, გაცილებით მცირე ჯგუფის ტრადიციული, ეგრეთ წოდებული შამპანური მეთოდით დაყენებული ღვინოები განეკუთვნება, როცა მეორადი დადღება ბოთლში მიმდინარეობს, რის შედეგად ღვინო ბუნებრივად გაჯერდება. ეს საკმაოდ ძვირიანი ტექნოლოგიაა, რომელიც დიდ გაწაფვას საჭიროებს, სამაგიეროდ, ღვინოს კარგი მჟავიანობა და რთული ორგანული შემადგენლობა აქვს.

მეორე ჯგუფში ის ღვინოები შედის, რომელთა მეორადი დუღილი ფოლადის დიდ ცისტერნებში ხდება. ისინიც საკმაოდ მაღალხარისხიანია, თუმცა, კი, არა იმდენად რთული ორგანული შემადგენლობა აქვთ, როგორიც შამპანურის ტექნოლოგიით დაყენებულ ღვინოებს. ეს მსუბუქი ხილის ღვინოები კლასიკურებზე გაცილებით იაფია. ასეთი ტექნოლოგია გაცილებით მარტივია და სწრაფი, რის გამოც პრაქტიკაში ფათრთოდ გამოიყენება.

ამ ტექნოლოგიას ღვინის დასაყენებლად, მათ შორის, ჩვენში, საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში, სხვაგან იყენებენ. ერთადერთი ადგილი, სადაც მისი გამოყენება აკრძალულია, საფრანგეთის პროვინცია შამპანია.

ბარსელონის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ესპანური შუშხუნა ღვინო კავასისხლძარღვებს იცავს და ათეროსკლეროზის განვითარებას ხელს უშლის. ასეთივე დასკვნა შამპანურის თაობაზე ინგლისის რიდინგის უნივერსიტეტის სწავლულებმა გამოიტანეს.

აღსანიშნავია, რომ შამპანური მეტად სასარგებლოა მამაკაცებისთვის, რადგან ერთი რომ სისხლძარღვებს აფართოებს და მათ მავნე ზემოქმედებისგან იცავს, მეორეც, იმიტომ, რომ ერთი-ორი სირჩის შემდეგ სისხლში აზოტის შემცველობა იზრდება, რომელიც ვიაგრას მსგავსად, ანუ აფროდიაზიაკივით მოქმედებს და პოტენციალს აძლიერებს.

უჩვეულო მუზეუმი

სანკტ-პეტერბურგში... სიკვდილის მუზეუმი გაიხსნა.

პროექტი ალექსანდრე დონსკოის, სკანდალურად ცნობილი „ეროტიკის მუზეუმის“ კურატორს ეკუთვნის. ექსპოზიციაში წარმოდგენილია სიკვდილის ნიღბები ვატიკანიდან, ჰონკონგური „სიკვდილის სული“, ნიგერიული და ეგვიპტური „სიკვდილის ღმერთები“, ასევე სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის სამგლოვიარო ურნები, საფლავის ქვები და სარიტუალო საგნები.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

სს „ელმავალმშენებელი“ 2014 წლის 17 ივლისიდან აცხადებს აუქციონს შავი და ფერადი ლითონის ჯართის რეალიზაციის შესახებ.

ლოტი №1:

ფოლადის ჯართი (წიდა) – სავარაუდოდ 40ტ. – 1ტ. საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 100 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

ლოტი №2:

შავი ლითონის არაგაბარიტული ჯართი (აკუმლატორები) – სავარაუდოდ 500 კგ. – 1 კგ. საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 1 ლარს დ.ღ.გ.-ს გარეშე;

ლოტი №3:

მეორადი კალა – სავარაუდოდ 92 კგ. – 1 კგ. საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 10.30 ლარს დ.ღ.გ.-ს გარეშე;

ლოტი №4:

სპილენძის ჯართი (წევის ძრავის კოლექტორები, კოჭები და სექციები) – სავარაუდოდ 800კგ. – 1კგ. საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 4.92 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

ლოტი №5:

სპილენძის ბურბუშელას ჯართი – სავარაუდოდ 500 კგ. – 1 კგ. საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 5.40 ლარს დ.ღ.გ.-ს გარეშე;

ლოტი №6:

სხვადასხვა ფერადი ლითონის ბურბუშელას ჯართი – სავარაუდოდ 1350 კგ. – 1 კგ. საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 2 ლარს დ.ღ.გ.-ს გარეშე;

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე“ (ლოტის ღირებულების 10%), რომელიც წაგების შემთხვევაში მონაწილეს დაუბრუნდება უკან.

გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

USD-Account: Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMAVALMSHENEBELI, Account: GE59BG0000000298256900.

GEL-Account: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: **BAGAGE22**, სს „ელმავალმშენებელი“ მიმღების ანგარიშის ნომერი **GE59BG0000000298256900**.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და „ბე“ არ დაუბრუნდება.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე უქმე დღეების გარდა, 10დან 15 საათამდე. (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აუქციონი გაიმართება 2014 წლის 18 ივლისს 12 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ, ლოტის მითითებით, მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით, მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.
2. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
3. პირადობის მოწმობის ქსეროასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ:

ვებ-გვერდი: **www.glmf.ge** ტელ. 5 77 43 47 42, 5 93 922 802, 5 77 003 707

სს „ელმავალმშენებელის“ მუდმივმოქმედი
სააუქციონო და საკონკურსო კომისია.

◎ კრიმინალი

დევნილისგან ქრთამი აიღო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ქრთამის აღების ფაქტზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ჰუმანიტარული დახმარების განყოფილების უფროსი დავით გადელია დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგენილია, რომ დავით გადელიამ, იძულებით გადაადგილებული პირისათვის სახელმწიფოს მხრიდან საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ გადაცემაში დახმარების გაწევის სანაცვლოდ, ქრთამის სახით 6 500 აშშ დოლარის ოდენობით ფულადი თანხა აიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ„ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 7-დან 11 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
29 9-62-77; 568 82-09-84..

◎ ჩვენი კარაბადინი

მკბენარი ექიმი

რა დაავადებებს კურნავს სამედიცინო წურბელა

ამ პატარა, მეტად არასასიამოვნო შესახედაობის სისხლისმწოველს შეუძლია ადამიანი უამრავი დაავადებისგან განკურნოს.

როგორ მუშაობს წურბელა

ჰირუდოთერაპიის ეფექტი ზემოქმედების სამი – მექანიკური, რეფლექტორული და ბიოქიმიური – სახეობისგან ყალიბდება.

წურბელა ექვემდებარება თავისი კვების რეფლექსს და ეკიდება კანს თავისი სამივე ყბით, სადაც ორას სამოცდაათი ნამცეცა კბილია, რომლებიც მიკროშპრიცებს მოგვაგონებს, ერჭობა მსხვერპლის სხეულში. ამ დროს კუნთოვანი ლილვაკები, წურბელის ყბებში რომაა განთავსებული, იწყებენ მიმდებარე ქსოვილების აქტიურ მასირებას, აძლიერებენ სისხლის მოდენას საკუთარი პირის ღრუში. გამოდის ერთგვარი ვაკუუმური მასაჟი. როდესაც წოვს, წურბელა თავისი მსხვერპლის სისხლში აფრქვევს ნერწყვს, რომელიც უამრავ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას შეიცავს. იმისთვის, რომ გაზარდონ სარგებელი წურბელების ზემოქმედებისაგან, ჰირუდოთერაპევტები მათ ჩვეულებრივად განათავსებენ ხოლმე ადამიანის სხეულზე განსაკუთრებული რეფლექტორული ზონების მიხედვით. წურბლის კბენის ადგილზე ჩნდება ანთების პატარა კერა, სადაც მასთან საბრძოლველად მოდის ორგანიზმში მობილიზებული იმ უჯრედების მთელი არმია, რომლებიც სხვადასხვა ფერმენტებს გამოიმუშავებენ, მათ შორის ანთების საწინააღმდეგოსაც. ისინი ანგრევენ ორგანიზმის ძველ, ყავლსგასულ უჯრედებს, ახდენენ მათი განახლების სტიმულირებას.

მთელი აფთიაქი!

დიდი ხნის განმავლობაში მიაჩნდათ, რომ წურბელა იძლევა სამკურნალო ეფექტს სისხლის გამოშვების ხარჯზე, თუმცა, შემდგომ წურბლის ნერწყვში აღმოაჩინეს განსაკუთრებული ნივთიერება – ჰირუდინი, რომელიც ანელებს სისხლის შედედებას, თავიდან გვაცილებს თრომბების წარმოქმნას, გვაუმტკივნეულებს და წინააღმდეგობას უწევს ანთებას. უკანასკნელი 50-60 წლის განმავლობაში ჰირუდოთერაპიამ თანამედროვე სამეცნიერო დასაბუთება მიიღო. ამავე დროს მეცნიერებმა გამოავლინეს მთელი რიგი ფერმენტები, რომლებსაც უნიკალური სამკურნალო თვისებები აქვთ. დღეს უვე ცნობილია, რომ წურბელის ნერწყვი შეიცავს ჩვენი ორგანიზმისთვის სასარგებლო ასზე მეტ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას – მთელი აფთიაქია!

წურბელის ნერწყვის უნიკალური ანტიკოაგულანტური ეფექტი რაღაცით ემგვანება ასპირინს, რომელიც, როგორც ცნობილია, სიცოცხლეს უხანგრძლივებს გულის იშემიური დაავადების მქონე ავადმყოფებს თრომბების წარმოქმნის დაბლოკვით. თუმცა, ასპირინს არ შეუძლია დაანგრიოს უკვე არსებული თრომბები, მაშინ, როდესაც წურბელის ნერწყვის ისეთი ფერმენტები, როგორებიცაა დესტაბილაზა და ჰირუდინი, არა თუ წინააღმდეგობას უწევენ თრომბების წარმოქმნას, არამედ ახდენენ თრომბში ფიბრინის გახსნას.

იძით ვწევთ სიბერეს

იმ დაავადებათა ჩამოთვლა, რომლებსაც წურბელის დახმარებით კურნავენ, შეიძლება ძალიან დიდხანს: თავის ტკივილი, ჰიპერტენზია, სტენოკარდია, უნაყოფობა, ენდომეტრიოზი, ჰემოროი, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ართროზები და ართრიტები, პროსტატიტი, გლაუკომა, სიმსუქნე, ღვიძლისა და კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობის დარღვევა, კანის დაავადებები (ფსორიაზი, ფერისმჭამელები) და ბევრი სხვა.

წურბელის კბენის ადგილზე უმჯობესდება სისხლისა და ლიმფების მიკროცირკულაცია, რომლის დარღვევაც ბევრ დაავადებას უდევს საფუძვლად, მათ შორის მივყავართ ორგანიზმის დაბერებასთან.

წურბლის კბენის დროს სისხლის დაკარგვა სტიმულს აძლევს ადამიანს ორგანიზმში ახალი ერიტროციტების სინთეზს, რითაც აახალგაზრდავებს ორგანიზმს ბუნებრივი გზით.

ჰირუდოთერაპიის ზემოქმედების მეორე ეფექტი – არტერიული წნევის დაწევა – ჩნდება არა იმის გამო, რომ წურბელა წოვს სისხლის ნაწილს, არამედ იმის წყალობითაც, რომ წურბელის ნერწყვის აქტიური ნივთიერებები ხსნიან სისხლძარღვთა სპაზმებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს ჰიპოთენზიური ეფექტი შეიძლება გრძელდებოდეს დღეებისა და თვეების განმავლობაში. ამიტომ წნევის დაწევისათვის სავსებით საკმარისია ჩავატაროთ ჰირუდოთერაპიის პროცედურები კვირაში ერთხელ, შემდგომ კი – უფრო იშვიათად.

კბენისა ნუ გეშინია

ჰირუდოთერაპიის სეანსი მიმდინარერობს ერთობ კომფორტულად. მაგალითად, წურბელის კბენის დროს შეიგრძნება მხოლოდ მსუბუქი ჩხვლეტა ან წიწკნა. ეს შეგრძნება მალე ქრება, ვინაიდან წურბელის ნერწყვი შეიცავს მაანალგეზირებელ ნივთიერებებს, რომლებიც მოქმედებენ, როგორც ადგილობრივი ანესთეზია. სადღაც ნახევარი საათის შემდეგ დანაყრებულ წურბელას ხსნიან, კბენის ადგილზე კი ადებენ სტერილურ სახვევს. სეანსის დროს ერთი წურბელა იწოვს სისხლის რამდენიმე მილილიტრს, კიდევ ამდენივე გამოდის ჭრილობიდან მომდევნო დღე-ღამეში, სანამ იგი არ შეხორცდება. ერთი სეანსის დროს ჩვეულებრივად ისვამენ 1-დან 10 წურბელამდე. არც იმის უნდა გვეშინოდეს, რომ წურბელის კბენისგან რაღაც ინფექცია გადმოგვედება. დღეს მათ ჭაობებში კი აღარ იჭერენ, როგორც ადრე, არამედ ზრდიან სპეციალურ ფაბრიკებში სტერილურ პირობებში. ამას გარდა, წურბელას იყენებენ მხოლოდ ერთხელ, სეანსის შემდეგ უმალვე ხდება მისი უტილიზირება.

სხვათა შორის

ჰირუდოთერაპია პრაქტიკაში ჰქონდათ ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთში, რომში, ინდოეთში, ჩინეთში. არის ცნობები იმის შესახებ, რომ ბერძენმა ექიმმა კლეომენმა წურბელების დახმარებით განკურნა ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა უნაყოფობისაგან, რის შემდეგაც მან იულიუს კეისარს აჩუქა შვილი, მოგვიანებით ანტონიუსს – კიდევ ორი ბიჭი და გოგონა.

ანი გრიგალაშვილი

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უებარი წამალია

„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ „სალხინოს“ მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- **გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.**
- **გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

◎ ინფორმაცია

ტრაგედია რიკოთის უღელტეხილზე

რიკოთზე სამშაბათ საღამოს მომხდარი ავტოავარიის შედეგად 14 წლის გოგონა გარდაიცვალა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით , შემთხვევის შედეგად 10 ადამიანია დაშავებული.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსით 276-ე მუხლის პირველი და მეხუთე ნაწილებით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

რიკოთზე ერთმანეთს მიკროავტობუსი და სატვირთო ავტომობილი შეეჯახნენ.

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

გუშინ მიხოს მამა მშობელთა კრებაზე იყო და ღამით ფიზიკის მასწავლებელ ქალთან დარჩა. მეორე დღეს კი ფიზიკის მასწავლებელმა მიხოს ორიანი დაუწერა.

და ამის მერე კიდევ დაიწყებს ვინმე იმის მტკიცებას, რომ შვილი მამის გამო პასუხს არ აგებს?!

* * *

სოფლის მობიბინე კოინდრიან ეზოში პატარა ბიჭუნა თამაშობს. უცებ ვიღაც კაცმა ჩამოიარა და ბავშვს დაუძახა:

– პატარავ, სად არის მამაშენი?

პატარა დიდი კაცივით დინჯად უპასუხებს: „საღორეშია, ბატონო. პირდაპირ წადით და საღორეს მიადგებით. იქ კი ადვილად მიაგნებთ მამაჩემს თავისი წითელი პანამის წყალობით“.

ნეფეს ხელში აყვანილი გამოჰყავს პატარძალი მმაჩის შენობიდან.

– პეტკა ჩვენ ხომ უკვე ცოლ-ქმარი ვართ?

– კი.

– მაშინ, მოდი, კისერზე დაგაჯდები.

* * *

ძირურგი რენტგენის სურათს ათვალიერებს.

– მდა�ა... მხარი გაბზარულია, ორი ნეკნი გატეხილია, მეოთხე მალა დამსხვრეულია. მაგრამ არა უშავს, ფოტოშოპით ყველაფერს გამოვასწორებთ!

* * *

გახარებული სტუდენტი წამოხტება მაგიდიდან და გასასვლელისკენ გარბის.

– ჩავაბარეეე!!!

– მოიცადეთ! – უყვირის პროფესორი და ჩათვლის წიგნაკს უჩვენებს, – ხომ უნდა აღვნიშნოთ.

– საღამოს აღვნიშნავთ! – დერეფნიდან ისმის სტუდენტის ხმა.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24